გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

ანგარიში 2025

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის განვითარების სააგენტო 4

ღვინის ეროვნული სააგენტო 10

სურსათის ეროვნული სააგენტო....16

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია....22

საქართველოს მელიორაცია....26

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო 30

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი 34

გარემოს ეროვნული სააგენტო 40

დაცული ტერიტორიების სააგენტო....46

ველური ბუნების ეროვნული სააგენტო....52

ეროვნული სატყეო სააგენტო....56

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო....60

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო 64

საქართველოს მყარის ნარჩენების მართვის კომპანია....70

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი....74

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 80

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 86

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო



სოფლის განვითარების სააგენტო, აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდასაჭერად, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს ახორციელებს.

მიზნობრივ პროგრამებისა და პროექტების მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას, ისეთი სამეწარმეო გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში წარმოებული აგროპროდუქციის რაოდენობრივ ზრდას, კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას, სასურსათო უსაფრთხოების მაღალ დონეს და ექსპორტის ზრდას.

ფერმერების და სოფლად მაცხოვრებლებისათვის სოფლის განვითარების სააგენტო გზამკვლევია საქმიანობის დაწყების და წარმატებით განვითარებისთვის.

აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები, ფერმერებისა და მეწარმეების მოთხოვნიდან და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, სისტემურად იცვლება; განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების საფუძველზე იქმნება ახალი პროგრამები.

2025 წელი - 4,400-ზე მეტ ბენეფიციარზე 800 მლნ ლარამდე შეღავათიანი აგროკრედიტი; სახელმწიფოს თანადაფინანსება 200 მლნ ლარზე მეტი

- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, 2025 წელს 4,400-ზე მეტ ბენეფიციარზე გაცემულია 800 მლნ ლარის ღირებულების შეღავათიანი აგროკრედიტი, თანადაფინანსებამ 200 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან 2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 49,900 ბენეფიციარზე გაცემულია 8.0 მილიარდი ლარის ღირებულების შეღავათიანი აგროკრედიტი, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა სესხის პროცენტის თანადაფინანსებამ 1.3 მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა.

2025 წელი - 2400 ჰექტარზე მეტ ფართობზე ახალი ბაღები

- ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება თანამედროვე ხეხილის ბაღების ფართობები, რაც ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ შედეგია. 2025 წელს, სახელმწიფოს მხარდაჭერით, 22.3 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 2,407 ჰა-ზე ახალი ბაღების გაშენება.

პროგრამის დაწყებიდან, 2015 წლიდან 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოს მხარდაჭერით 205.3 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 25,480 ჰა-ზე ახალი ბაღების გაშენება.

2025 წელი - 17 ხელშეკრულება გადამამუშავებელი საწარმოსა და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნისთვის

- სახელმწიფო მხარს უჭერს პროდუქციის შემნახველი და გადამმუშავებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნას. 2025 წელს 17 კომპანიას გაუფორმდა ხელშეკრულება გადამმუშავებელი საწარმოსა და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნობრიობით. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 5.7 მლნ ლარია.

2014-2025 წლებში 287 კომპანიას გაუფორმდა ხელშეკრულება გადამმუშავებელი საწარმოსა და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნობრიობით. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 132.4 მლნ ლარია.

2025 წელი - 34 მლნ ლარზე მეტი 310 ერთეული ტექნიკის შესაძენად

- მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამისა და კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 34.1 მლნ ლარის ღირებულების 310 ერთეული ტექნიკის შეძენა.

2016 წლიდან 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 228.7 მლნ. ლარის ღირებულების 4,000-ზე მეტი ერთეული ტექნიკის შეძენა.

2025 წელი - 36,006 ლარით თანადაფინანსებულია 3 ბიომწარმოებელი

- ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, მევენახეობისა და მეფუტკრეობის ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და ბიოპრეპარატების თანადაფინასებას. ბიოწარმოების პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს 36,006 ლარით თანადაფინანსებულია 3 ბიომწარმოებელი. 2022-2025 წლებში 665,096 ლარით თანადაფინანსებულია 61 ბიომწარმოებელი.

2025 წელი - მეთხილე ფერმერებმა მიიღეს 21 მლნ ლარამდე მიზნობრივი დახმარება

- თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობისა და მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. 2024-2025 წლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 108 ათასამდე მოსარგებლის 44,134 ჰექტარი თხილის ბაღი დარეგისტრირდა თხილის კადასტრში. ფერმერებმა მიიღეს დაახლოებით 20.9 მლნ ლარის მიზნობრივი დახმარება.

2025 წელი - დაზღვეულია 16,300 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი

- სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამა ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს კლიმატური რისკებისგან დაიცვან საკუთარი მოსავალი. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს დაზღვეულია 16,300 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 19.7 მლნ ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 13.8 მლნ ლარია.

2014-2025 წლებში დაზღვეულია 188,400 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 155.5 მლნ ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 105.2 მლნ ლარია.

2025 წელს - 12 მლნ ლარზე მეტი არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციით მიღებული ფერმერების შემოსავალი

- არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა ხილის გადამამუშავებელმა 14 საწარმომ 40 ათას ტონაზე მეტი არასტანდარტული ვაშლი ჩაიბარა. შედეგად, ფერმერებმა 12 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს. სახელმწიფო დაფინანსება 4 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამით უზრუნველყოფილია მოსავლის სრულად დაბინავება. არასტანდარტულ ვაშლს იბარებენ ხილის გადამმუშავებელი საწარმოები შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში.

2025 წელი - 38 ბიზნესიდეა მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის; სახელმწიფო თანადაფინანსება 3 მლნ ლარზე მეტი

- მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით ხორციელდება სპეციალური პროგრამა. 2025 წელს დაფინანსდა 38 ბიზნესიდეა, ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 6,489,550 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსების ოდენობამ 3,338,510 ლარი.

პროგრამით 2023-2025 წლებში დაფინანსდა 140 ბიზნეს იდეა, ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 22,310,710 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსების ოდენობამ 11,407,640 ლარი.

2025 წელი - 122 მეფუტკრე ფერმერის მხარდაჭერა. სახელმწიფოს თანადაფინანსება 353,340 ლარი

- 2024 წლიდან მეფუტკრეობის დარგის მხარდასაჭერად მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, რომელთა მიზანია ხარისხიანი თაფლის წარმოების მდგრადობის ხელშეწყობა. 2024-2025 წლებში 795,518 ლარით თანადაფინანსებულია 265 ბენეფიციარი. აქედან, 2025 წელს 353,340 ლარით თანადაფინანსებულია 122 ბენეფიციარი.

2025 წელი - შიდა ქართლსა და კახეთში სარწყავი წყლით უზრუნველყოფილ ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობისთვის 1,651,334 ლარით თანადაფინანსებულია 431 ბენეფიციარი

- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წლიდან, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონში „ირიგაციით უზრუნველყოფილ მიწის ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ ხორციელდება. 2025 წელს 1,651,334 ლარით თანადაფინანსებულია 431 ბენეფიციარი.

2025 წელი - 15,3 მლნ ლარამდე ახალი სათბურებისთვის

- ქვეყნის მასშტაბით ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ხელშეწყობის მიზნით პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ მოქმედებს. 2025 წელს 14,021,125 ლარით თანადაფინანსებულია 186 ბენეფიციარი. 2024-2025 წლებში 15,271,954 ლარით თანადაფინანსებულია 206 ბენეფიციარი.

2025 წელი - 1,5 მლნ ლარზე მეტი მერძევეობის დარგის განვითარებისთვის

- „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და გაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2025 წელს 39 ბენეფიციარს გაუფორმდა 39 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 2,284,780 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 1,556,060 ლარი.

2020-2025 წლებში 1,188 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 1,358 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 71,302,875 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 51,373,686 ლარი.

2025 წელი - 900 ათას ლარზე მეტი დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერებისთვის

- „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, 2025 წელს 36 ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 980,696 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა 970,517 ლარი.

2025 წელი – 50-მდე ქართული კომპანიის 9 საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მხარდაჭერა.

- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 50-მდე მწარმოებელ კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა პროდუქცია ქართულმა კომპანიამ წარმოადგინა საკუთარი პროდუქცია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე გერმანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, აზერბაიჯანში, ჩინეთში, საუდის არაბეთში, ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2025 წელი - 4,547 ერთეული ენერგოეფექტური ღუმელების შესყიდვის თანადაფინანსება.

- სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები და პროექტები მოიცავს როგორც ენერგოეფექტური მრეწველობის ასევე, ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციის თანადაფინანსების შესაძლებლობას.

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება „ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა.“ პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს, საქართველოს მასშტაბით 4,547 ერთეული ენერგოეფექტური ღუმელების შესყიდვა თანადაფინანსდა. ხოლო 2023-2025 წლებში, საქართველოს მასშტაბით 5,141 ერთეული ენერგოეფექტური ღუმელების შესყიდვა თანადაფინანსდა.

2025 წელი - 43 ხელშეკრულება სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისთვის

- ხარისხიანი და უვნებელი აგროპროდუქციის წარმოებისათვის სოფლის განვითარების სააგენტო აგრომეწარმეებს ხელს უწყობს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის, პროდუქციის ბრენდირებისა და შეფუთვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის საკონსულტაციო მომსახურების, პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ღირებულების თანადაფინანსებაში. ამ მიმართულებით 2025 წელს 43 ხელშეკრულება გაფორმდა, სააგენტოს თანადაფინანსება 402,672 ლარს შეადგენს. 2016-2025 წლებში 400 ხელშეკრულება გაფორმდა, სააგენტოს თანადაფინანსება 3.8 მლნ ლარს და 125,521.86 აშშ დოლარს შეადგენს.

2025 წელი - ახალი მიზნობრიობა: უცხოელი ექსპერტების მომსახურების თანადაფინანსება

- 2025 წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ტექნიკური დახმარების პროგრამაში ცვლილებები შევიდა. საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პროგრამას ახალი მიზნობრიობა, უცხოელი ექსპერტების მომსახურების თანადაფინანსება დაემატა.

პროგრამით დადგენილია კონსულტანტისა და ტექნიკური კონსულტანტის მომსახურების სფეროები. კერძოდ, კონსულტანტი განახორციელებს ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე, როგორც ღია ასევე დახურული გრუნტის შემთხვევაში, აგროსაქმიანობასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს, ხოლო ტექნიკური კონსულტანტი - განახორციელებს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მიმართულებით კონსულტაციებს.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მიზანი მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2025 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობდა:

- პოპულარიზაცია და მარკეტინგი;
- რთველის ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობა;
- ღვინის ხარისხის კონტროლი
- მევენახეობის კადასტრი
- ქართული ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

2025 წელი - 88 გამოფენა-ფესტივალი, 300-ზე მეტი დეგუსტაცია, 18 ღვინის ტური

- 2025 წელს, „ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში წარმოდგენილი იყო 58 გამოფენა-ფესტივალზე და 322 დეგუსტაციაზე. „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში გაიმართა 32 ღონისძიება, მათ შორის, 30 გამოფენა ფესტივალი. უცხოელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიისთვის საქართველოში 18 ღვინის ტური გაიმართა.

ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას, ღვინის ეროვნული სააგენტო, სტრატეგიულ ბაზრებზე ისეთ მარკეტინგულ კომპანიებთან თანამშრომლობით ახორციელებს, როგორებიცაა „Colangelo & Partners“ (აშშ), „People PR“ (პოლონეთი), „ff.k Public Relations“ (გერმანია), „Swirl Wine Group” (დიდი ბრიტანეთი), „Red Bridge” (იაპონია), „Wine21.com” (კორეის რესპუბლიკა) და „Bogvi International Trading Company“ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

გაძლიერდა მომხმარებელზე ორიენტირებული ღონისძიებები და მედია კამპანიები. ღვინის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს: CBS, CNN, „The New York Times”, „Wine Enthusiast“, Netflix, „V is for Vino“ და ა.შ.

2025 წელი - 9 ღვინის კომპანიისთვის 700 ათასამდე ლარი მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებისთვის

- მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს, თანადაფინანსების სახით, 9 ღვინის კომპანიამ ჯამურად, 692.969 ლარი მიიღო. მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ ის კომპანიები იღებენ, რომლებიც ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა), პრიორიტეტულ ბაზრებზე ახორციელებენ.

2025 წელი - ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის ღირებულება 550,6 მლნ აშშ დოლარი

- მსოფლიოს 71 ქვეყანაში ექსპორტირებულია 267,910 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 89,7 მლნ-მდე ლიტრი ღვინო.
- მსოფლიოს 55 ქვეყანაში ექსპორტირებულია 46,6 მლნ ლიტრი 283 მლნ აშშ დოლარამდე ღირებულების სპირტიანი სასმელები. ჯამურად, 2025 წელს, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტით, ქვეყანაში შემოსავლის სახით მიღებულია 550,6 მლნ აშშ დოლარი.

რთველი

2025 წელი - გადამუშავებულია 340 ათასამდე ტონა ყურძენი

- 2025 წლის რთველის პროცესში, საქართველოში გადამუშავდა ბოლო 30 წლის განმავლობაში მაქსიმალური რაოდენობის - 340 ათასამდე ტონა ყურძენი 480-მდე მლნ ლარის ღირებულებით. მოსავალი 22 ათასამდე მევენახემ დააბინავა.

გადამუშავებული ყურძნიდან უდიდესი წილი, 327 ათასამდე ტონა, კახეთზე მოდის, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. რაჭაში გადამუშავებულია ასევე რეკორდული, 3 ათას ტონამდე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, საიდანაც უდიდესი წილი ალექსანდროული და მუჯურეთულია.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2025 წელს კახეთის რეგიონში ღვინის საწარმოებზე სუბსიდია აღარ გაიცა. ყურძნის ხარისხთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მიღებული ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულ ფასად იბარებდა: კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძენს - 1.50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულ სხვა საღვინე ჯიშებს - 1.20 ლარად, არაკონდიციურ და დაზიანებულ/ან დაავადებულ ყურძენს - 1.00 ლარად. ხარისხის მიხედვით ფასთა სხვაობა 2026 წელს შენარჩუნდება და კიდევ უფრო გამკაცრდება. ხარისხიანი ყურძენი, თავისთავად, ხელს უწყობს ხარისხიანი ღვინის დაყენებას, რაც ცალსახად არის გარანტი ექსპორტის კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობების, ახალი ბაზრების ათვისების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის.

რაჭის რეგიონში, კერძო სექტორის სტიმულირების მიზნით, სუბსიდირების პროგრამა განხორციელდა. სუბსიდიის მიმღებია ყველა ის კომპანია, რომელმაც 1 კგ ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს არანაკლებ 8 ლარი გადაუხადა. სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა განისაზღვრა 4 ლარით, როგორც 1 კგ ალექსანდროულის, ასევე, 1 კგ მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ღვინის ხარისხი

- ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები რეგულარულად ახორციელებენ ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის მონიტორინგს, რათა ათეულ მილიონობით ლიტრი ქართული ღვინო და სხვა ალკოჰოლიანი სასმელი აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, იყოს კონკურენტუნარიანი და სულ უფრო მეტად მოთხოვნადი.

2025 წელს, სახელმწიფო კონტროლი, რომლითაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა მოწმდება, 139 კომპანიაში განხორციელდა. 155 კომპანიაში ჩატარდა საინსპექციო კონტროლი, რაც სერტიფიცირებისთვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობას ადგენს. საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, განვლილ პერიოდში ჩატარდა 279 დეგუსტაცია.

მიმდინარე წელს, გასულ წლებთან შედარებით, დარღვევების რაოდენობა შემცირებულია.

ვენახების კადასტრის პროგრამა

2025 წელი - გაცემულია 5151 ვენახის ამონაწერი

ვენახების შესახებ საკადასტრო მონაცემების, რაც გულისხმობს - მევენახის ცვლილება, ვენახის გაშენება ან ამოძირკვა და სხვა - განახლება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. სულ გაცემულია 5151 ვენახის ამონაწერი. განხორციელდა საველე შემოწმებები - სულ გადამოწმდა 220 მევენახის 372 ნაკვეთი.

ქართული ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა

ხორციელდება „ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის“ პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოს ღვინის კულტურის უძველეს კერად დადასტურებული ქვეყნისათვის ახალი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტი ისტორიის რეკონსტრუქცია, მევენახეობა-მეღვინეობის აგრონომიული და ენოლოგიური პოტენციალის გამოკვლევა და ქართული ღვინის პოპულარიზაცია. პროგრამის მულტიდისციპლინარული კვლევების ფორმატში ჩართული არიან ქართველი და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების და სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები. პროგრამის ფარგლებში გამოიცა არაერთი ნაშრომი, ჩატარდა არქეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევები,

2025 წელი - ადგილწარმოშობის დასახელებებს 2025 წელს დაემატა 3 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო: „რაჭა“, „ლეჩხუმი“ და „საზანოს ოცხანური“

ადგილწარმოშობის დასახელებებს 2025 წელს დაემატა 3 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო: „რაჭა“, „ლეჩხუმი“ და „საზანოს ოცხანური“ და რაოდენობამ 33-ს მიაღწია. აღნიშნული ღვინის წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

2025 წელს საქართველომ წარადგინა განაცხადი, 2027 წელს გახდეს ვაზის და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) კონგრესის მასპინძელი ქვეყანა

„იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობა

ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს

2013 წელს, იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- სურსათის უვნებლობა
- ვეტერინარია
- მცენარეთა დაცვა

სააგენტო საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით არსებული რეგიონული დეპარტამენტების და რაიონული სამსახურების მეშვეობით.

2025 წელი - რეგიონებში სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, აშენდა ახალი ოფისები ქობულეთში, მცხეთაში, დედოფლისწყაროსა და მარნეულში; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა აბაშაში ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრს; 17 რეგიონულ და რაიონულ ოფისში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები

საანგარიშო პერიოდში, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ექსპორტის სერტიფიკატების გაცემის გამარტივების მიზნით, მიმდინარეობდა სააგენტოს მომსახურების გაციფრულების პროცესი. შესაბამის მატერიალურ ფორმასთან ერთად, გაიცემა ელექტრონული ფორმაც.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით, დაწყებულია სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამების შექმნა/გაუმჯობესება, რაც ეფექტიანს გახდის შემოწმების პროცესს.

სურსათის უვნებლობა

სახელმწიფო კონტროლი, მონიტორინგი

მომხმარებელთა ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის, მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, მარკეტების, ცხოველთა სასაკლაოების, საცხობების, აგრარული ბაზრების და ა.შ. შემოწმებას.

2025 წელი - განხორციელდა 39 537 სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშების კვლევა, ზედამხედველობა, HACCP-ის აუდიტი), გამოვლინდა 4038 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა 338 მაჩვენებელზე, მათ შორის: მძიმე მეტალების და აკრძალული ნივთიერებების შემცველობა; ვეტერინარული (ანტიბიოტიკი) ნარჩენების კვლევა; ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე; რძეში აფლატოქსინ M1-ის განსაზღვრა; რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა; ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა; პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა; სურსათში ტრანსცხიმების განსაზღვრა; თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა; გმო-ს კვლევა და ა.შ. გამოკვლეულია სხვადასხვა დასახელების სურსათის/სასმელი წყლის 7442-ზე მეტი ნიმუში/სინჯი. გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან 582 შეუსაბამობა.

- 2025 წლიდან, რძეში აფლატოქსინ M1-ის განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კვლევის ნიმუშების რაოდენობა . პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულია 459 ნიმუში.

- 2025 წელს გააქტიურდა რძის საწარმოების კონტროლი. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სააგენტოს ინსპექტორებმა რძის 50-მდე არარეგისტრირებული წარმოება გამოავლინეს. აქედან ნახევარმა სააგენტოს უკვე მიმართა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო საქმიანობა.
- 2025 წელს განხორციელებული ისეთი აქტივობების შედეგად, როგორებიცაა აქტიური სახელმწიფო კონტროლი და ბიზნესსექტორის ინფორმირებულობის გაზრდა, მნიშვნელოვნად შემცირდა სურსათში (ხორცი, რძე, კვერცხი, თევზი) ანტიბიოტიკების ნარჩენების გამოვლენის შემთხვევები. ვეტერინარული პრეპარატების და სხვა ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით, 1357 ნიმუშია გამოკვლეული, დარღვევა მხოლოდ 20 ნიმუშში გამოვლინდა.
- 2025 წელს სააგენტოს პრიორიტეტი იყო აკვაკულტურების შემოწმება. თევზში მალაქიტის მწვანეს, ლეუკომალაქიტის მწვანეს განსაზღვრის მიზნით, აღებულია თევზის (კალმახი) 215 ნიმუში, დარღვევა დაფიქსირდა 20 ნიმუშში.

ვეტერინარია

ვაქცინაცია/რევაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

2025 წელი - განხორციელდა 5 მილიონზე მეტი მანიპულაცია (ვაქცინაცია/რევაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია)

ცხოველების ჯანმრთელობის დაცვისა და ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარი მონაცემებით, სხვადასხვა დაავადებაზე (თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი) განხორციელდა 5 მილიონზე მეტი მანიპულაცია (ვაქცინაცია/რევაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია).

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მონაცემებით, 2025 წელს, დაავადება თურქულის SAT-1 სეროტიპით გამოწვეული აფეთქებების კერები ფიქსირდება. პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისყიდა შესაბამისი სეროტიპის შემცველი ვაქცინა, რომელიც რეკომენდებულია ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) რეფერენს ლაბორატორიის მიერ. სააგენტომ ცხოველების ვაქცინაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელა.

2025 წელი - პირველად გაიცა კომპენსაცია ჯილეხით მკვდარი ცხოველების მეპატრონეზე

ყირიმ-კონგოს საწინააღმდეგოდ, ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია 10 620 მსხვილფეხა საქონელი.

საძოვრებზე სეზონური გადარეკვისას, ქვეყნის მასშტაბით არსებული ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებზე, ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 1 021 079 მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

2025 წელი - ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, დარეგისტრირდა 250 საფუტკრე მეურნეობა (10, 500 სკა), იდენტიფიცირებულია 965 ათასი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი

2025 წელი - აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტს 9550 უპატრონო/მიკედლებულ ცხოველს (ძაღლი, კატა) ჩაუტარდა კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური კვლევები, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

2025 წლის ივლისიდან, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს უპატრონო/მიკედლებული ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვის საპილოტე პროგრამას, რომელიც მოიცავს აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტს. პროგრამის ფარგლებში, 9550 ცხოველს ჩაუტარდა კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური კვლევები, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შექმნას და ეფექტიანი გზაა დაავადება ცოფის სრული აღმოფხვრისთვის.

2025 წელს, WOAH –ს ექსპერტების ჩართულობით მომზადდა საკანონმდებლო ბაზა და 2026 წლიდან სავალდებულო ხდება ვეტერინარების სერტიფიცირება

ვეტერინარების სერტიფიცირება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტის ვეტერინარული სერვისების მიწოდებას, არაკვალიფიციური პრაქტიკის აღკვეთას, ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებების დაცვას.

ვეტერინარული კონტროლი

2025 წელი -განხორციელდა 1642 სახელმწიფო კონტროლი

2025 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ცხოველთა საკვების აღიარებული საწარმოების HACCP-ის აუდიტი; ცხოველის საკვებში აფლატოქსინის ლაბორატორიული კვლევა; წყალსატევებიდან წყლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა მალაქიტის მწვანესა და ლეიკო მალაქიტის მწვანეს, კრისტალური იისფერისა და ლეუკოკრისტალური იისფერის მაჩვენებლებზე;

ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში განხორციელდა 1642 სახელმწიფო კონტროლი, გამოვლინდა 58 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ექსპორტი

2025 წელი - ექსპორტირებულია 120 778 მსხვილფეხა, 264 497 წვრილფეხა პირუტყვი

სააგენტოს ინსპექტორების მიერ, ცოცხალ ცხოველებსა და ვეტერინარულ ტვირთზე საექსპორტოდ გაიცა 8963 ვეტერინარული სერტიფიკატი.

მცენარეთა დაცვა

მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდა მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებები. 2025 წელს:

- იტალიური და მაროკოული კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 23,210 ჰა ფართობი, მონიტორინგი ჩატარდა - 243,000 ჰა ფართობზე
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავდა 1,937 ჰა ფართობი
- კოღოების წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავებულია 13,580 ჰა ფართობი
- სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები" ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში დამუშავდა 450,367 ჰა ფართობი

2025 წელი - გაიცა 14,556 საექსპორტო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი

საქართველოდან ექსპორტზე გადის ფიტოსანიტარიულ სერტიფიცირებას დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქტები: ატამი, ვაშლატამა, თხილი, ვაშლი, ლურჯი მოცვი, დაფნა, კარტოფილი, მწვანილი და სხვა.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

- გამკაცრდა სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტების მოთხოვნები და მათი საქმიანობა ექვემდებარება აღიარებას
- აღიარებულია 594 ობიექტი, საიდანაც განხორციელდა 526 შემოწმება და გამოვლინდა 103 სამართალდარღვევა
- სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, 191 სარეალიზაციო ობიექტიდან აღებულია 340 ნიმუში, გამოკვლეულია 300 პესტიციდი და 40 აგროქიმიკატი. შეუსაბამობა არ გამოვლენილა
- გაიზარდა ლაბორატორიული შესაძლებლობები და, 73-ის ნაცვლად, შესაძლებელია 96 მოქმედი ნივთიერების კვლევა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის (SLA) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ცხოველთა (მ.შ., ფრინველი, თევზი, ფუტკარი) დაავადებებისა და მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა, ასევე, სურსათისა და სასმელი წყლის კვლევა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელი მოიცავს 13 ლაბორატორიას: ერთი ცენტრალური ლაბორატორია (თბილისი), ორი ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია (ქუთაისი, ახალციხე) და ათი რეგიონული ლაბორატორია (გორი, მარნეული, დუშეთი, გურჯაანი, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი, საჩხერე და მესტია).

ლაბორატორია, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია ქვეყნის მასშტაბით დაავადების კერის სალიკ-ვიდაციო და საკარანტინო ღონისძიებებში, ლაბორატორიის ქსელი ხელს უწყობს ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდების აპრობაციასა და დანერგვას.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

www.sla.gov.ge

ეროვნული რეფერენს სტატუსი

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ფლობს ეროვნულ რეფერენს სტატუსს. აღნიშნული სტატუსით ლაბორატორიას ეძლევა უფლებამოსილება, ჩაატაროს რეფერენტული გამოცდები სადაო საკვლევ ნიმუშებზე. ასევე, ლაბორატორიას აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს სწავლებები, ყველა დაინტერესებული სპეციალისტის გადამზადებისა და სხვადასხვა კვლევის მეთოდის დანერგვის მიზნით.

ხარისხის მართვა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ყოველწლიურად წარმატებით გადის საერთაშორისო აკრედიტაციას. ლაბორატორიაში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა და 2025 წლის მონაცემებით, აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ლაბორატორიის თანამშრომელთა გადამზადება/ პროფესიული კომპეტენციის ტესტირების პროგრამა

ლაბორატორიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ისე, ლაბორატორიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას. მუდმივად ხდება კადრების გადამზადება ლაბორატორიული კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის მიმართულებით. ლაბორატორიის პერსონალს უტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგი და ტესტირება.

პროფესიული განათლების ხელშეწყობა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია თანამშრომლობს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან - პროფესიულ სასწავლებლებთან და უნივერსიტეტებთან და აქტიურად მონაწილეობს სპეციალისტების აღზრდის პროცესში.

ლაბორატორია ჩართულია ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამაში. 2025 წლის დეკემბრის მონაცემებით, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირებას გადის 9 სტუდენტი.

ბიოდაცვა და ბიოუსაფრთხოება

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლებს რეგულარულად უტარდებათ ბიოდაცვის, ბიოუსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების ტრენინგები.

- 10 თანამშრომელს ჩაუტარდა ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის განახლებადი ტრენინგი;
- რეგიონული ლაბორატორიების 32 თანამშრომელს ჩაუტარდა შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების, ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის ტრენინგები შერეული ფორმატით, როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად;
- 63 სტაჟიორმა, პრაქტიკანტმა და სპეციალისტმა გაიარა შრომის უსაფრთხოების, ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის მოკლევადიანი ტრენინგი.

რეგიონული ლაბორატორიები

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის რეგიონული ლაბორატორიები, თბილისის ცენტრალურ ლაბორატორიასთან შედარებით, მცირე ზომის, თუმცა მნიშვნელოვანი ფუნქციების მქონე ლაბორატორიებია. რეგიონულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს კვლევები, რაც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს, ადგილზე მარტივად და სწრაფად მიიღონ კვლევის შედეგები. რეგიონებში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლაბორატორიებში მიმდინარეობს ახალი კვლევის მეთოდების შესწავლა, დანერგვა და აკრედიტაცია.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დეპარტამენტების საქმიანობა

- მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა 17 კვლევა;
- ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა 3 კვლევა;
- სურსათის კვლევის დეპარტამენტში დაინერგა 4 მეთოდი;
- პოლიმერების ტესტირების ლაბორატორიაში დაინერგა 1 ახალი სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP) და ცვლილება შევიდა და ხელახლა დამტკიცდა 1 სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP);
- დეპარტამენტების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს საკვალიფიკაციო ტესტირებებში;
- დეპარტამენტებმა წარმატებით გაიარეს 2025 წლის აკრედიტაცია.

სტატისტიკა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში, ქვეყნის მასშტაბით, სულ შემოტანილია 338792 ნიმუში, ჩატარებულია 360726 კვლევა.

ინფრასტრუქტურის განახლება და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

გორისა და ზუგდიდის რეგიონულ ლაბორატორიებს ჩაუტარდათ ინფრასტრუქტურული განახლება - განახლდა ოფისები, მოეწყო თანამედროვე სამუშაო სივრცეები, რაც თანამშრომლებისთვის ქმნის უფრო ორგანიზებულ, უსაფრთხო და პროდუქტიულ სამუშაო გარემოს.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების გარდა, წლის განმავლობაში გაძლიერდა ლაბორატორიული ქსელის ტექნიკური რესურსები. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე, განახლებული აპარატურითა და ინსტრუმენტებით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კვლევითი და დიაგნოსტიკური შესაძლებლობები.

შპს
საქართველოს
მეღიორაცია

საქართველოს აღმოსავლეთ მხარის შედარებით მშრალი კლიმატი მოითხოვს ირიგაციის ფართო გამოყენებას, ხოლო დასავლეთის მთელ რიგ რეგიონებში საჭიროა ჭარბი წყლის მოცილება სადრენაჟე სისტემების მეშვეობით.

გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა - სარწყავი და სადრენაჟე სისტემები - ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და ხელს უწყობს ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

ბოლო ათეული წელია, ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს მწყობრიდან გამოსული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტები.

ექსპლუატაციაში დაბრუნდა არაერთი საირიგაციო და სადრენაჟე სისტემა. სარწყავი წყალი მიეწოდა ისეთ სოფლებს, სადაც ათეულობით წლის განმავლობაში სავარგულები არ მორწყულა. ჭარბი წყლისგან გათავისუფლდა ათობით ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

2025 წელი - „საქართველოს მელიორაციამ“ 32 სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტი დაასრულა. განხორციელებული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ 28,3 მლნ ლარი შეადგინა. წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდა 12 670 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე.

საექსპლუატაციო ღონისძიებები

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის საექსპლუატაციო-სარემონტო ღონისძიებების 2025 წლის სავარაუდო საექსპლუატაციო მაჩვენებლები (ინდიკატორები). გაიწმინდა 1404 კილომეტრზე მეტი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხები; შეკეთდა/შეიცვალა 45,720 კმ-მდე მილსადენი; შეკეთებულია 128 ერთეული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა; განხორციელდა 2315-მდე სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა) რემონტი/შეცვლა.

წყალსაცავები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცვალებად ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების მინიმუმადე დაყვანისა და მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად, „საქართველოს მელიორაციის“ პრიორიტეტია წყალსაცავების რეაბილიტაცია-მშენებლობის საკითხს.

2025 წელი - გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ლაკბეს წყალსაცავის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ჩატარებული სამუშაოები წყალსაცავის გამართულად ფუნქციონირებასა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებლების (გ-41 და გ-42) დამატებით კვებას უზრუნველყოფს. შედეგად, 1400 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

2025 წელი - დასრულდა ილტოს წყალსაცავის წინასაპროექტო კვლევის სამუშაოები.

წყალსაცავის მოცულობა იქნება 80 მლნ კუბი. პარალელურად, იგეგმება ზემო და ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემების სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგაც, წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება დაახლოებით 30 000 ჰა ფართობზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს დალის მთის წყალსაცავის წყალგამშვები კოშკის რეაბილიტაცია.

სტრუქტურული რეფორმა

კომპანიაში ჩატარდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. შეიქმნა კომერციის მიმართულება. რეგიონულ სამსახურებს დაემატა და ჩამოყალიბდა მეხუთე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახური. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც სერვისცენტრების ფუნქციური დატვირთვის გაზრდას და შედეგად, აბონენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს. მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინსპექტირების სისტემა, რომელიც სარწყავი წყლის უკანონო მოხმარების ფაქტების გამოვლენას უფრო ოპერატიულს და ეფექტიანს ხდის.

წყლის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან მართვის მიზნით, შეიქმნა სადისპეჩერო სამსახური. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სადისპეჩერო სისტემების გაციფრულების პროცესი.

ჩამოყალიბდა საინფორმაციო-სასწავლო ცენტრი, რომელიც ქმნის ერთიან სისტემას პროფესიული განვითარებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების დასანერგად.

დაიწყო რებრენდინგის პროცესი, რომლის ფარგლებშიც განახლდება კომპანიის ლოგო და შემუშავდება ახალი ბრენდბუქი.

ბიზნეს პროცესების სახელმძღვანელო

საქართველოს მელიორაციამ კომპანიაში არსებული ბიზნეს პროცესები აღწერა. სფეროების მიხედვით შეიქმნა შესაბამისი სახელმძღვანელოები, რაც უზრუნველყოფს პროცესების ოპტიმიზაციასა და ეფექტურობას.

პროგრამული უზრუნველყოფა *303#OK

მარეგულირებელ ორგანოსთან კოორდინაციაში, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები მობილურ ოპერატორებთან, შემუშავდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა *303#OK, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები, საქართველოს მელიორაციის ოფისებსა და სერვისცენტრებში მიუსვლელად, ონლაინ რეჟიმში შეძლებენ სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას.

ტარიფი

2025 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) ირიგაციის ახალი ტარიფი დაადგინა.

ცვლილება მიზნად ისახავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, სისტემების რეაბილიტაციას, დანაკარგების შემცირებასა და ფერმერებისთვის წყლის უფრო საიმედო მიწოდებას.

ახალი სატარიფო სისტემა ემყარება სამართლიან პრინციპს. მომხმარებელი იხდის მხოლოდ იმ წყლისთვის, რომელსაც რეალურად მოიხმარს და არ იხდის ზედმეტს. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს საირიგაციო წყლის მიზნობრივ გამოყენებას, წყლის დროულ მიწოდებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო 2025 წლის განმავლობაში აქტიურად განაგრძობდა ქვეყნის მასშტაბით მიწის ფონდის სწორი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფას.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოში მიმდინარეობდა კომპლექსური საქმიანობა:

- მიწის რესურსების მონაცემთა სისტემატიზაცია და დაზუსტება
- მიწათსარგებლობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება
- მიზნობრივი პროგრამების შესრულება.

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

www.land.gov.ge

სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მიწის ფონდის შესახებ მუდმივად განახლებადი ინფორმაციის შექმნაა, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს ეფექტიანად დაგეგმოს აგრარული და ეკონომიკური სექტორები, განახორციელოს სავარგულების ოპტიმალური მართვა და აგროსექტორში მიზნობრივი, გრძელვადიანი და უსაფრთხო ინვესტიციების მოზიდვა.

20-წლიანი ინტერვალის შემდეგ 2024 წელს საქართველოში პირველად განახლდა მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზისა და მიწის ბალანსის წარმოება. მიწის ნაკვეთების დეშიფრირება განხორციელდა 6,415,384 ჰექტარ ფართობზე, რითაც შეიქმნა მიწათსარგებლობისა და მიწათდაფარულობის შესახებ უახლესი მონაცემები.

2025 წელი - მიმდინარეობდა სივრცითი მონაცემების დამუშავება და დაზუსტება, რამაც მოიცვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონები, ჯამში 1,054,015 ჰექტარი ფართობი.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად შეიქმნა 1:2000 მასშტაბის ადაპტირებადი ციფრული ფენები, რომლებიც წარმოადგენს ბაზას როგორც მიწათსარგებლობის თემატური რუკების მომზადებისთვის, ისე მიწის საინფორმაციო სისტემის შექმნისთვის.

სააგენტო მუშაობს მიწის საინფორმაციო სისტემის (LIS) პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე. LIS გახდება თანამედროვე ციფრული პლატფორმა – მიწის მონაცემთა ცენტრალიზებული ჰაბი, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას მიწის რესურსებზე, ნიადაგის თვისებებსა და მიწათსარგებლობის ფორმებზე. სისტემის შემუშავება ხორციელდება „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის (GRAIL)“ სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და მონიტორინგის გაძლიერების ქვეკომპონენტის ფარგლებში, იგი უზრუნველყოფს მიწის ფონდის შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდას ფართო სპექტრის მომხმარებლისთვის. LIS პორტალი ფუნქციონირებას დაიწყებს 2026 წლიდან.

ქარსაფრებისა და საძოვრების მართვის სახელმწიფო პროგრამები, რომელსაც სააგენტო ახორციელებს, მიმართულია როგორც ნიადაგის დაცვის, ასევე აგრარული საქმიანობის განვითარებისკენ.

2021 წელს დაწყებულმა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამამ უზრუნველყო ამ მნიშვნელოვანი რესურსის გამჭვირვალე და სამართლიანი განაწილება, რადგან საძოვრები იჯარით გადაეცემათ მხოლოდ პირუტყვის მფლობელ ფერმერებს. დღეისათვის, მესაქონლეობით აქტიურად დაკავებული ფერმერები ჯამში სარგებლობენ 19,048 ჰექტარი საძოვრით.

2025 წელი - სამ ეტაპად გამოქვეყნდა იჯარით გასაცემი საძოვრების მონაცემები. საანგარიშო პერიოდში სულ გაფორმდა 30 იჯარის ხელშეკრულება 2,945 ჰექტარ საძოვარზე.

2025 წელს იდენტიფიცირდა ახალი საძოვრები - გამოვლინდა პროგრამის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი 5,405 ჰა საძოვრის კატეგორიის ახალი მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, პროგრამის პირობების შესაბამისად, 612 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწას მიენიჭა საძოვრის კატეგორია. ქვეყნის მასშტაბით ახალი საძოვრების იდენტიფიცირება უზრუნველყოფს პროგრამის სამომავლო გაფართოებას და მეტი ფერმერის ჩართულობას.

დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში საძოვრად გამოყენებული მიწის ნაკვეთების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილი მონაცემები არ არსებობს. აქედან გამომდინარე საჭიროა მათი იდენტიფიცირება, კატეგორიზაცია და რეგისტრაცია. სწორედ ამ გამოწვევას პასუხობს „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საძოვრების ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციის პროგრამა“, რომელიც „მერძევეობის დარგის მოდერნიზაცია და ბაზარზე წვდომა: ადაპტაციის კომპონენტის (DiMMAdapt)“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

პროექტის მიზანია საქართველოში საძოვრების მართვის ეფექტური რეფორმებისათვის საფუძვლის მომზადება, საძოვრების ინვენტარიზაციისა და აღრიცხვის პილოტირება.

შემუშავდა საძოვრების ინვენტარიზაციის ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია, რომელიც საფუძველად დაედო სამიზნე, საკვლევი 106 163ჰა ფართობიდან სათიბ საძოვრების იდენტიფიცირებას.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, მიწათსარგებლობის ისტორიული მონაცემების, არსებული საკადასტრო ინფორმაციისა და ორთოფოტოების გაანალიზებით, განხორციელდა აღნიშნული ფართობის დეტალური ანალიზი, საზღვრებისა და კატეგორიზაციის დადასტურება. შედეგად მივიღეთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების საინვენტარიზაციო ფართობი 43 259 ჰა, რომლის მიხედვითაც მომზადდა რეგისტრირებული, არაკატეგორიზებული და არარეგისტრირებული პოტენციური საძოვრების ტერიტორიების პირველადი რუკა. რის მიხედვითაც მოხდება საძოვრების გამოვლენილი ტერიტორიების შემდგომი შესწავლა პროექტის მიმდინარეობისას. ასევე განისაზღვრება საძოვრების ფიზიკური მახასიათებლები, მცენარეული საფარის ბოტანიკური აღწერა, დეგრადაციის მასშტაბი, განხორციელდება საძოვრების საკადასტრო აზომვითი სამუშაოები და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

პროექტი მიმდინარეობს ადგილობრივი ხელისუფლების, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ფერმერების ჩართულობით, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მხარდაჭერითა და ადაპტაციის ფონდის (AF) დაფინანსებით.

2025 წელი - ინვენტარიზებულია 5,371.71 ჰექტარი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით 2021 წლიდან მიმდინარეობს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღრიცხულია 12,046.35 ჰექტარი ქარსაფარი ზოლი 30 მუნიციპალიტეტში, აქედან 5,917.50 ჰექტარი ქარსაფარი ზოლის სტატუსით რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. 2025 წლის განმავლობაში ინვენტარიზებულია 5,371.71 ჰა.

არსებული რესურსების აღრიცხვა და ქარსაფრის სტატუსით რეგისტრაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შემდგომში მათი აღდგენისთვის და ახალი ქარსაფარი ზოლების გაშენებისთვის. ქარსაფარი ზოლების აღდგენის მიმართულებით სააგენტოში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, 2026 წელს იგეგმება ახალი ქარსაფარი ზოლების გაშენება 150 ჰექტარზე.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

2025 წელს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა განახორციელა ფართომასშტაბიანი ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტები, რომლებიც აგრობიომრავალფეროვნების დაცვას, გენეტიკური რესურსების კვლევას, სელექციის განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ემსახურება. აღნიშნული მიმართულებები მიზნად ისახავს ადგილობრივი ჯიშების დაცვასა და მათ გლობალურ ინიციატივებთან დაკავშირებას, რაც ქვეყნის ბიომრავალფეროვნების მდგრადობასა და აგროსასურსათო სექტორის გაძლიერებას უწყობს ხელს.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

www.srca.gov.ge

ქართული გენეტიკური რესურსების გლობალური დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა FAO-ს პროექტის „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს აგრობიომრავალფეროვნების დაცვას ფერმერულ მეურნეობებში (in situ/on farm), ტრადიციული ჯიშების გადარჩენასა და მათი გენეტიკური რესურსების საცავებთან კავშირების განმტკიცებას.

დღეის მონაცემებით, სვალბარდის გლობალურ თესლის საცავში ხორბლის, სიმინდის და ლობიოს ადგილობრივი ჯიშების 210 ნიმუში ინახება, რაც მათ ხანგრძლივ და უსაფრთხო შენახვას უზრუნველყოფს.

აქტიური თანამშრომლობა გრძელდება Biodiversity International-სა და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ინსტიტუტთან პროექტის „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში, in-situ და ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება” ფარგლებში. თანამშრომლობა უზრუნველყოფს საქართველოს ჩართულობას ევროპულ კატალოგში (EURISCO), რომლის მიზანია კულტურულ მცენარეთა ველური წინაპრების in -situ კონსერვაციის გაძლიერება და საქართველოს გენეტიკური რესურსების სრულფასოვანი ინტეგრაცია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში. დღეის მონაცემებით ეროვნულ კატალოგში შეტანილია 109 ჯიში.

პროექტის „მეცხოველეობის ფერმის მართვის სისტემის (FMS) ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისები“ ფარგლებში, ხორციელდება სანაშენე პოლიტიკის განახლება, ფერმერულ მეურნეობებში სანაშენე მონიტორინგი და ერთიანი მართვის სისტემის დანერგვა. პროექტი ხორციელდება FAO-ს მხარდაჭერით.

დასრულდა პროექტი „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით განახორციელა.

პროექტის მიზანი იყო სოფლის მეურნეობის სექტორის გამძლეობის გაზრდა კლიმატის ცვლილების პირობებში აგროეკონომიკური ანალიზისა და სამიზნე კულტურებისთვის პროგნოზირებადი რისკების შეფასების საფუძველზე. მიღებული კვლევითი მასალა წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს მენეჯმენტისა და დაგეგმვის გაუმჯობესებისთვის. პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენა დაგეგმილია იანვარში.

სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, მიმდინარე 2025 წელს გააფართოვა ადგილობრივი კვლევითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითად მიმართულებას.

განახლდა მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდი და შეივსო ხეხილის კოლექციები. გამოვლინდა წარმოებისათვის ადგილობრივი ფორმები, მეხილეობის წარმოების ეფექტიანობის მიზნით დაინერგა 2D გასხვლის თანამედროვე ტექნოლოგია. ფერმერებისთვის მომზადდა პრაქტიკული რეკომენდაციები.

მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების მიმართულებით ჩატარებული კვლევები, ძირითადად, გენეტიკური რესურსების შეფასებასა და სელექციის გაძლიერებას დაეთმო. პირველადი მეთესლეობიდან მიღებულმა სერტიფიცირებულმა სათესლე მასალამ 5.9 ტონა შეადგინა, რომელიც მოიცავს როგორც ენდემურ და ადგილობრივ ჯიშებს, ასევე ტრიტიკალეს, ჭვავსა და შვრიას. მაღალმთიან რეგიონებში მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთები. ბოსტნეული კულტურების მიმართულებით გამოიკვეთა ადგილობრივი ჯიშებისა და ფორმების მრავალფეროვნება, შეფასდა ლობიოს, ოსპის ცერცვის და სხვა კულტურების გენოფონდი.

სარგავი მასალის მწარმოებელი კვალიფიციური სანერგე მეურნეობების ინსპექტირების და მათი ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა: კვალიფიციური სანერგე მეურნეობის სტატუსი მიენიჭა დაახლოებით 50 სანერგეს, ტყის მერქნიან სახეობებზე გაიცა 27 სერტიფიკატი, ხოლო ხორბლის სათესლე მასალაზე – 41 სერტიფიკატი, რაც შეადგენს 554 ტონა სერტიფიცირებულ პროდუქციას.

გენეტიკური რესურსების კუთხით შეიქმნა ეროვნული მონაცემთა ბაზა და სრულად აიტვირთა ადგილობრივი ჯიშების საპასპორტო ინფორმაცია. დაინერგა AEGIS-AQUAS სტანდარტებზე დაფუძნებული ხარისხის მართვის ელემენტები, ხოლო გლობალურ საინფორმაციო სისტემაში (GLIS) გადაიგზავნა 2 085 მარცვლეულის ნიმუშის მონაცემი. On-farm კონსერვაციის ფარგლებში საქართველოს რვა რეგიონში შეგროვდა ადგილობრივი ჯიშების მასალა, მათ შორის 406 ნიმუში ხორბალი, 20 – სიმინდი და 189 – ლობიო, რაც ტრადიციული გენეტიკური რესურსების დაცვას მნიშვნელოვნად აძლიერებს.

საქართველოს ნიადაგის საერთო მდგომარეობის შესწავლის მიზნით, გამოკვლეულია 25 000 ჰა შვიდ მუნიციპალიტეტში; შესწავლილი 413 ნიმუშის შედეგები ატვირთულია ერთიან ელექტრონულ ბაზაში. მიმდინარეობს ექვსი თემატური ნიადაგის რუკის დამუშავება; მომზადდა რეკომენდაციები ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებაზე (ვაზისა და ხორბლის კულტურებისათვის).

მცენარეთა დაცვის სფეროში პირველად დადასტურდა თხილის ხმობის გამომწვევი ბაქტერია და ვაზის ოქროსფერი სიყვითლის ფიტოპლაზმური დაავადება. გრძელდება მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო ბიოაგენტების მოძიება და კვლევა. ფერმერებს გადაეცათ 10 კულტურისთვის განახლებული ფენოკალენდარული სქემები. მონიტორინგის ჩატარება გაგრძელდება ზეთისხილის, ნუშისა და თხილის სადემონსტრაციო ნაკვეთებზე.

სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით გრძელდება სამუშაოები. დღეის მონაცემებით, სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გურიისა და აჭარის სანერგე მეურნეობებს გადასცა „კოლხიდის“ 5 000 საბაზისო ნერგი, რაც ხელს შეუწყობს ჩაის ხარისხიანი სანერგე მასალის წარმოებას.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აქტიურად აგრძელებს კვლევებს მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეთევზეობისა და სასარგებლო მწერების ადგილობრივი გენოფონდის დაცვისა და გაუმჯობესების კუთხით. FAO-ს მხარდაჭერით მუშავდება სანაშენე მეცხოველეობის ახალი კანონმდებლობა და მიმდინარეობს ფერმის მართვის სისტემის (FMS) საპილოტე მოდელის ტესტირება. კვლევისა და აღრიცხვის პროცესში ჩართულია 5 000-ზე მეტი ინდივიდი სხვადასხვა ადგილობრივი ჯიშიდან. მიმდინარეობს მათი პროდუქტიულობის, გენეტიკური პოტენციალისა და სანაშენე თვისებების შეფასება, მიკროსასელექციო ბირთვების შექმნა და საკვების ოპტიმალური რეცეპტურების შემუშავება.

იშვიათი ქართული ყურძნის ჯიშების ენოლოგიური პოტენციალის შესწავლის მიზნით, განხორციელდა მასშტაბური კვლევა: ქართულ ვაზის 94 ჯიშიდან მიღებული 1 381 ნიმუში დაექვემდებარა სრულ ენოლოგიურ შეფასებას. 5 000 კგ ყურძნისგან დამზადდა 2 700 ლიტრი ექსპერიმენტული ღვინო.

დეგუსტაციების შედეგად, რეგიონების მიხედვით გამოიკვეთა იშვიათი და ნაკლებად ცნობილი ჯიშები, რომლებიც მაღალი ენოლოგიური ღირსებით გამოირჩევიან და ქართულ მეღვინეობაში ახალი შესაძლებლობების შექმნის პოტენციალს ატარებენ.

უვირუსო სათესი და სარგავი მასალის მიღებისა და ჯიშების კონსერვაციის მიზნით, აქტიურად გრძელდებოდა კვლევები, რის შედეგადაც გაფართოვდა ვაზის ინ-ვიტრო კოლექცია; დამუშავდა ახალი კლონირების/თერმოთერაპიის პროტოკოლები. 4 ქართულ ჯიშზე განხორციელდა სიღრმისეული კვლევა. საქართველო გახდა ECPGR–ის კრიოკონსერვაციის ჯგუფის წევრი.

ფართომასშტაბიან კვლევები ჩატარდა ტყის იშვიათი სახეობების გენეტიკური რესურსების შესწავლის კუთხით. პირველად საქართველოში განხორციელდა 18 იშვიათი ტყის სახეობის სრული ინვენტარიზაცია და შეიქმნა ელექტრონული ბაზა.

2025 წელს სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში, ვორქშოფსა თუ თანამედროვე აგრარული კვლევების გაცვლით გლობალურ პლატფორმებზე მიიღო მონაწილეობა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა აგრარულ სფეროში არსებული ახალი კვლევების, ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა. ახალგაზრდებში აგრარული მეცნიერებების პოპულარიზაციის, აგრარული განათლების მხარდაჭერის მიზნით,

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა უმასპინძლა მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტთა საგანმანათლებლო ვიზიტს, რომლის მიზანს კვლევითი ინფრასტრუქტურის, თანამედროვე ლაბორატორიული შესაძლებლობებისა და მიმდინარე კვლევითი პროცესების გაცნობა წარმოადგენდა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნულ კონფერენციას „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“ სადაც პირველად საჯაროდ წარდგენილი იყო ქართული ხორბლის 5 ენდემური სახეობისა და 7 ადგილობრივი ჯიშის ნუტრიენტული პროფილის კვლევის შედეგები. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო UNESCO-ს მიერ ნომინაციის „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ დადებით შეფასებას.

2025 წელი - „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შევიდა

2025 წლის 10 დეკემბერს, ინდოეთში, ნიუ-დელიში გამართულ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შევიდა. კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს ნომინაციას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

საქართველოს დელეგაციას UNESCO-ს გენერალური დირექტორის ხელმოწერილი სერტიფიკატი გადაეცა. სერტიფიკატი ადასტურებს, რომ „ქართული ხორბლის კულტურა, ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

2025 წელი - ინფრასტრუქტურის განახლება და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

- ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების გენეტიკური რესურსების ეროვნულ ბაზას შეემატა ვაზისა და ღვინის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი სივრცე, რომელიც მოიცავს ლაბორატორიებს, სადეგუსტაციო სივრცეებს, ვაზისა და ღვინის სამუზეუმო კუთხეს, მარანს, ენოთეკასა და საკონფერენციო დარბაზს. აღნიშნული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად აძლიერებს კლასტერული ტიპის განვითარების მოდელს, სადაც ერთ სივრცეში თავმოყრილია კვლევა, პრაქტიკული გამოცდილება, ღვინის დეგუსტაცია, ცოდნის გადაცემა და ტურისტული სერვისები.

- ა. ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ცენტრში (გურია, სოფ. ანასეული) ამოქმედდა თანამედროვე კვლევითი ინფრასტრუქტურა. განახლებული ლაბორატორიული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ზრდის ბიოლოგიური კონტროლის აგენტების იდენტიფიკაციის, შესწავლისა და ინტეგრირებული დაცვის მეთოდების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

სსიპ გარემოს ეროვნული საგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის კვლევებს, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგს, ამინდსა და კლიმატურ პირობებზე დაკვირვებას, ასევე, შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევას, შავი ზღვის სანაპიროსა და შიგა წყალსატევებში თევზების მარაგების შეფასებას და კვოტების განსაზღვრას.

გარდა ამისა, სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების განხორციელებას, გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დაგეგმვას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სამონადირეო მეურნეობის და თევზჭერის ლიცენზიებსა და ნებართვებს, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიებსა და საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვებაზე შესაბამის ნებართვას.

2025 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცა 30 აკვაკულტურის და 1 ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა; ასევე, 1 სოჭის გირჩის და 2 თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების ლიცენზია.

ფინეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტთან თანამშრომლობით აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სისტემების დანერგვის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს ოპერატიული პროგნოზირების და გაფრთხილების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. ასევე, დაინერგება მობილური აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც მომავალი წლიდან დაიწყება სინოპტიკური პროდუქტებისა და გაფრთხილებების გავრცელება ფართო მომხმარებელზე. პროექტი სრულად 2026 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

2025 წლის განმავლობაში, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურზე, საგუშაგოსა და 2 მეტეოროლოგიურ რადარზე. ქვეყნის მასშტაბით უკვე დამონტაჟებულია 258 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური.

შვეიცარიული კომპანია GEOTEST AG-ის მიერ საქართველოს მყინვარებზე გუნებრივი საფრთხეების გამოვლენის პირველი ეტაპის სამუშაოების საფუძველზე 2025 წელს დაიწყო მეორე ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც პერიგლაციალურ და გლაციალურ (მყინვარულ) ზონებში ცხელი წერტილები იდენტიფიცირდა, მოხდა რისკების დეტალური შეფასება და საპრევენციო ღონისძიებების დაგეგმვა.

2025 წელს სააგენტოს ბიუჯეტით შესყიდულია და მონტაჟდება მონიტორინგული სისტემები დამატებით 11 მეწყრულ სხეულზე.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით 18 მეწყრულ სხეულზე დამონტაჟებულია თანამედროვე მონიტორინგის სისტემები, აქედან 11 ინტეგრირებულია ერთიან სერვერულ პლატფორმაზე.

2025 წელს მომზადდა 1:200 000 მასშტაბის სვანეთის მხარის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები, ასევე, მინერალური რესურსებისა და ტექტონიკური რუკების კომპლექტი, შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშით.

შესაბამისად, საქართველოს მხარეებისთვის მომზადებული რუკები მოიცავს ინფორმაციას სამიზნე არეალის ფარგლებში არსებული გეოლოგიური პირობების შესახებ.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადდა გეოლოგიური დასკვნები შესაბამისი რეკომენდაციებით, გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;

2025 წლის იანვარი-ოქტომბრის პერიოდში შედგენილ იქნა 1170 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; შეფასებულია 2131 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 4008 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, საშიშროების რისკის განსაზღვრით და შესაბამისი რეკომენდაციებით, გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით.

დაინერგა InSAR (ინტერფერომეტრიული სინთეტური სისტემების რადარი) ტექნოლოგია რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სატელიტური გამოსახულებების შედარება, მეწყრების იდენტიფიცირება, გადაადგილების სიჩქარის და სხვა მახასიათებლების დადგენა; მეწყრული მოვლენების მონაცემთა ბაზის განახლება; ეტაპობრივად მიმდინარეობს და გაგრძელდება სხვადასხვა მხარეში იდენტიფიცირებული საფრთხეების საველე პირობებში შეფასება და შესაბამისი მონაცემთა ბაზის განახლება.

საქართველოს მასშტაბით 72 სადგურისგან შემდგარ მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელს დაემატა ორი ახალი ავტომატური სადგური.

2025 წლის მდგომარეობით, 74 წყალპუნქტიდან აღებული იქნა 681 მიწისქვეშა წყლის სინჯი ლაბორატორიული ანალიზებისთვის. აღნიშნული კვლევებით მიწისქვეშა წყლების ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები დგინდება.

დაიწყო მზადება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის თანახმად „განსახორციელებელი სამუშაოებისთვის, ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი მიწისქვეშა წყლების იდენტიფიცირების მიზნით. გეგმიური ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის გარდა, ნიტრატების შემცველობის შესახებ პირველადი მონაცემები შეგროვდა 50 წყალპუნქტზე.

2025 წლის განმავლობაში, ზედაპირული წყლის ხარისხის შეფასების მიზნით, საქართველოს მდინარეებისა და ტბების 238 წერტილში რეგულარული მონიტორინგი განხორციელდა. მონიტორინგის შედეგები ბიულეტენების სახით ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე - HTTPS://NEA.GOV.GE/

2025 წელს, 21 საზღვაო ექსპედიციის ფარგლებში, განხორციელდა შავი ზღვის შეფასება ქაფშიასა და ქარსალას ჰიდროაკუსტიკური გადაღება, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა პელაგიური და ფსკერული ტრალის გამოყენებით; განისაზღვრა 2025-2026 წწ. სარეწაო სეზონის სამრეწველო თევზჭერის კვოტები; ჭერილის დასაშვები ოდენობა განისაზღვრა შვიდ სარეწაო ობიექტზე, მათ შორის ძირითადი სარეწაო რესურსის - შავი ზღვის ქაფშიას მოსაპოვებელ კვოტამ შეადგინა 65000 ტონა.

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე არსებულ 10 სადგურზე, განხორციელდა სეზონური ჰიდრობიოლოგიური და ყოველთვიური მიკრობიოლოგიური მონიტორინგი საზღვაო ექსპედიციის ფარგლებში, 18 მონიტორინგის სადგურზე აღებული იქნა ზღვის წყლისა და გრუნტის ნიმუშები (200-მდე ნიმუში), მიმდინარეობს მათი ლაბორატორიული დამუშავება, მზადდება მონაცემთა ბაზა.

წლის განმავლობაში შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში, ყოველთვიურად 14 წერტილში ტარდებოდა და ისაზღვრებოდა ზღვის წყლის პარამეტრები. სააგენტოს მიერ წლის განმავლობაში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, შავი ზღვის წყლის ხარისხი საქართველოს სანაპიროს მთელ პერიმეტრზე ნორმის ფარგლებშია.

ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 18 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური, მათ შორის, 15 ავტომატური და 3 მობილური. მომავალი წლისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს 10 ახალი ავტომატური სადგური დაემატება. 2025 წელს ახალი სადგურების განსათავსებელი ლოკაციების შესარჩევი და მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა.

ამავდროულად, სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე 32 ქალაქში ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი), ინდიკატორულ გაზომვებს - ბენზოლის (C_6H_6), აზოტის დიოქსიდისა (NO_2) და ოზონის (O_3) კონცენტრაციების განსასაზღვრად.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში ხელმისაწვდომია პორტალზე HTTPS://AIR.GOV.GE/

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის N76 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონების მართვის გეგმა როგორც თევზის, ასევე მოლუსკების ზონებისათვის.

დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების, თევზჭერის სერტიფიკატის გაცემის ახალი სისტემის დანერგვისა (CATCH) და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიმართულებით.

2025 წლის 1 აგვისტოდან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ შევიდა ცვლილებები, რის შედეგადაც დაიხვეწა და გამარტივდა კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის, სკოპინგისა და გზშ-ის პროცედურები.

სააგენტოს მიერ 2025 წელს მომზადდა:

- 168 გზშ სკრინინგის გადაწყვეტილება
- 73 გზშ სკოპინგის დასკვნა
- 65 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2025 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში, გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციებს დაემატა ავტომობილის გაფრქვევების (გამონაბოლქვის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის გაცემა და ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების რეგულირება, სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგება, მონაცემთა ბაზის წარმოება.

აღნიშნული რეორგანიზაციის ფარგლებში, სამინისტროდან გარემოს ეროვნულ სააგენტოში გადავიდა ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის უფლებამოსილება.

2025 წელს განხორციელდა „საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს N502 დადგენილების ოპტიმიზაცია, ახალი სერვისების, მათ შორის დაჩქარებული მომსახურების დამატება და ფასების განახლება.

რეფორმის ფარგლებში, გარემოსდაცვით სფეროში არსებული ავტორიზაციები გაიცემა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ „ერთი სარკმლის პრინციპით“, რაც უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების გამარტივებას, მოქნილობას და გამჭვირვალობას.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა.

სააგენტოს მიზნებია ქვეყნის მასშტაბით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება, დაცული ტერიტორიების დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლება, ეკოტურიზმის განვითარება.

2025 წლის მდგომარეობით, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 929 996 ჰექტარს, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 13.34%-ია. დღეს, ჩვენს ქვეყანაში, IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით, 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 15 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 25 აღკვეთილი, 5 დაცული ლანდშაფტი და 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. აქედან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას, 25 ტერიტორიული ადმინისტრაციით, დაქვემდებარებულია 94 დაცული ტერიტორია, ხოლო, დაცული ლანდშაფტებისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება და განვითარება

- 2025 წელს, 2 245 ჰექტრით გაფართოვდა თუშეთის დაცული ლანდშაფტი.
- 7 რეგიონში - რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, გურია, კახეთი და იმერეთი - მიმდინარეობდა მუშაობა დაცული ტერიტორიების შექმნის, გაფართოებისა და განვითარების მიმართულებით.

დაცული ტერიტორიების მართვის დოკუმენტები

- 2025 წელს მიმდინარეობდა მუშაობა 7 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაზე. აღნიშნულიდან დამტკიცდა 4, ხოლო, 3-ზე მიმდინარეობს მუშაობა.
- შემუშავდა 2 დაცული ტერიტორიის წყლის რესურსების მართვის გეგმა.

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

- ტყის მართვა - დამტკიცდა ტყის მართვის 2 გეგმა; ინვენტარიზაცია ჩატარებულია 16 დაცულ ტერიტორიაზე, ჯამში 214 790 ჰექტარზე, რაც დაცული ტერიტორიების ტყის ფართობის (444 463 ჰა) დაახლოებით 48%-ს შეადგენს.
- ტყის აღდგენის პროექტები - აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე წარმატებით მიმდინარეობს „იმერული მუხის" აღდგენის პროექტი - მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა და სანერგე მეურნეობა, 9 ჰექტარ ტერიტორიაზე დარგულია 20 000-მდე იმერული და ქართული მუხის ნერგი. 2025 წელს, კი, 3.32 ჰა ფართობზე განხორციელდა 9 514 ძირი იმერული და ქართული მუხის ნერგების შერგვა. ჭაჭუნას აღკვეთილში მიმდინარეობს მდინარე ივრის ჭალის ტყის აღდგენის ღონისძიებები, რომლის ფარგლებში შეიღობა 110 ჰა ტერიტორია და მდინარის დონის აწევის მიზნით მოეწყო გაბიონი.
- ტყის ხანძრების პრევენცია და მართვა - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კურორტ აბასთუმნისა და ზეკარის უღელტეხილის მიმდებარედ, ინოვაციური სისტემა დაინერგა, რომელიც დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით ტყის ხანძრების ადრეულ აღმოჩენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს. ასევე, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები აღიჭურვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.
- დაცული ტერიტორიების დაცვა-პატრულირება - საანგარიშო პერიოდში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს 25 ტერიტორიულ ადმინისტრაციაში ხორციელდებოდა პატრულირება შესაბამისი სპეციფიკური ეკიპირებითა და გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვილი რეინჯერების მიერ. SMART (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების მექანიზმი) - პატრულირებისა და მონიტორინგის თანამედროვე მეთოდით, სპეციალური სმარტ-ტელეფონებით და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი რეინჯერების მიერ პატრულირება და მონიტორინგი ხორციელდება 11 დაცულ ტერიტორიაზე. საანგარიშო პერიოდში, SMART პატრულირებისა და მონიტორინგისთვის გადამზადდა და სმარტ-ტელეფონებით აღიჭურვა დანარჩენი 14 ადმინისტრაცია. 2025 წელს, ადმინისტრაციები აღიჭურვნენ დაცული ტერიტორიების

მონიტორინგის სხვა თანამედროვე სისტემებით - რადიოგადამცემი აპარატურა, ფოტოხაფანგები, დრონები.

- სამართალდარღვევები - დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე
- გადაცემულია 283 სამართალდარღვევის ფაქტი.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და კონსერვაციული პროექტები

- 11 დაცულ ტერიტორიაზე, მონიტორინგის 10 წლიანი (2020-2029 წწ.) გეგმის შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების შერჩეულ საკვანძო სახეობებზე მიმდინარეობს მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევა-მონიტორინგი.
- წარმატებით მიმდინარეობს ქურციკის რეინტროდუქციის (აღდგენის) პროექტი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. 2025 წელს რიცხოვნება გაიზარდა და შეადგენს 500-ზე მეტ ინდივიდს.
- კეთილშობილი ირმის მონიტორინგი 4 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. 2025 წლის მდგომარეობით, ოთხივე დაცულ ტერიტორიაზე 1 300-ზე მეტი ირემი დაფიქსირდა.
- 2025 წლის მონაცემებით, თუშეთის, ლაგოდეხის, ფშავ-ხევსურეთის და ყაზბეგის დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა 3 105 ჯიხვი.
- 700-ზე მეტი ნიამორი დაფიქსირდა თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე.
- სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმის ფარგლებში, ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს კეთილშობილი ირმის აღდგენის ისტორიული პროგრამა, რომლის ფარგლებში, ალგეთის ეროვნულ პარკში კეთილშობილი ირმის საშენი მეურნეობა მოეწყო და 9 ინდივიდი გაეშვა.
- ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, 8 დაცულ ტერიტორიაზე მდინარეები დათევზიანდა დაახლოებით 560 000 ნაკადულის კალმახის ქვირითით.
- სააგენტოს მიერ გაეშვა 800 კაკაბი, 300 ფრთა კოლხური ხოხობი და 150 ფრთა გნოლი, რომელიც დაცულ ტერიტორიებს საჩუქრად გადასცა საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“. ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი წლებია უნიკალური ფრინველების ჯიშების გამრავლებას და შემდეგ ველურ ბუნებაში გაშვებას აფინანსებს.

გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება

- 2025 წელს ჩატარდა 4 000-ზე მეტი ეკოსაგანმანათლებლო აქტივობა. მათ შორის: 452 ლექცია-სემინარი, 3 302 ეკოტური, 51 გარემოსდაცვითი კვირეული, 9 ეკობანაკი, 21 გამწვანებისა და 48 დასუფთავების აქცია; ადგილობრივ მოსახლეობასთან/დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა 289 საინფორმაციო შეხვედრა და 15 სხვა გარემოსდაცვითი აქტივობა. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული იყო 224 საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 202 სკოლა, 19 უნივერსიტეტი და 3 ბაღი, ჯამში ჩაერთო 76 437 მონაწილე.

ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებზე

ეკოტურისტული სერვისების გაფართოებისა და გამრავალფეროვნების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი სერვისების, საიმიჯო პროდუქტებისა და ინოვაციური, ტექნოლოგიურ-ციფრული პროექტების მიმართულებით:

- სააგენტომ დაიწყო მუშაობა 4 დაცულ ტერიტორიაზე ვირტუალური რეალობის (VR) სისტემის დანერგვის მიმართულებით - ვირტუალური რეალობის (VR) აპლიკაციის შექმნა და Meta Oculus პლატფორმაზე განთავსება, ასევე, ვირტუალური რეალობის 360 გრადუსიანი ახალი ვიდეობის გადაღება. წლის განმავლობაში სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებზე გადაღებულია 110 წუთის ვიდეოები, პრომეთეს მღვიმისა და მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრებში განთავსებულია სტაციონარული VR სტენდები - თითოეულ ცენტრში 2 VR სტენდი/4 ეკრანი, სააგენტოს კუთვნილებაში გადმოცემულია 4 მობილური VR კომპლექტი.
- სააგენტომ დაიწყო სერვისების გაციფრულების პროცესი - დაცულ ტერიტორიებზე არსებული ფასიანი სერვისების: კოტეჯები, საპიკნიკე სივრცეები, ინვენტარი, შესვლის გადასახადი და სხვ. ონლაინ დაჯავშნის სისტემის ამოქმედება, რომელიც გაგრძელდება 2026 წლის მანძილზე.
- საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, პირველად ეწყობა ეროვნული პარკების საიმიჯო სუვენირების მაღაზიები/კუთხეები. დაგეგმილია 8 ასეთი კუთხის მოწყობა 6 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე. 2025 წელს, თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრებში (საბადური და ზედაზენი) მოეწყო სუვენირების მაღაზიის 3 სივრცე და მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური და ლოჯისტიკური უზრუნველყოფისა და ბრენდირებული მასალის შესყიდვის მიმართულებით.

ვიზიტორთა სტატისტიკა

2025 წლის მონაცემებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 1 250 417 ვიზიტორი ესტუმრა, მათ შორის 41% ქართველია, ხოლო 59% - უცხოელი. 2024 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 13%-ით.

რეკრეაციული ინფრასტრუქტურა

- თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, საბადურის და ზედაზენის უბნებზე, დასრულდა 2 მასშტაბური, ტურისტულ-რეკრეაციული სივრცის მოსაწყობი პროექტი. ტერიტორიებზე მოეწყო: 2 ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა, პარკინგები, საბავშვო გასართობი და შემეცნებით სივრცე, საფეხმავლო ბილიკების ქსელი თანმდევი ინფრასტრუქტურით, ფანჩატურები, საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები. პროექტების ჯამური ღირებულება 13 მილიონ ლარამდეა.
- ალგეთის ეროვნულ პარკში, ბირთვისის კანიონზე დასრულდა მასშტაბური სარეკრეაციო პროექტი, რომლის ფარგლებში ტერიტორიაზე მოეწყო ვიზიტორთა ცენტრი, გადასახედი პლატფორმები, დაკიდებული ხიდები, საქანელა, კოტეჯები, ზიპლაინი და დაცულ ტერიტორიებზე პირველი ვია ფერატა - კლდოვან რელიეფზე მოწყობილი მარშრუტი, რომელიც ექსტრემალური და აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი.

- დასრულების ეტაპზეა ჯუთა-როშკა-ომალოს დამაკავშირებელი პროექტი, რომელიც 3 მაღალმთიან დაცულ ტერიტორიას (ყაზბეგი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი) ერთმანეთთან აკავშირებს საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკების ქსელით, 64 საფეხმავლო ხიდითა და 7 კეთილმოწყობილი ალპური ქოხით. 27 000 000 ლარის ღირებულების პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.
- მიმდინარეობს ოკაცეს კანიონის ახალი ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა.
- 2025 წლის განმავლობაში, საქართველოს 3 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და გრძელდება 10 ახალი ტურისტული თავშესაფრის და 4 დაცულ ტერიტორიაზე ჯამში 287 კმ. სიგრძის ტურისტული ბილიკების მოწყობა.

საერთაშორისო პროექტები და ღონისძიებები

- მიმდინარე პერიოდში დაახლოებით 100 მილიონი ლარის ღირებულების საგრანტო პორტფელით ხორციელდება სხვადასხვა პროექტი და ინიციატივა. სააგენტოს პარტნიორები არიან KfW, CNF, bp, GC და სხვა.
- დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში შემდეგ ქვეყნებში: საუდის არაბეთი, ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, იაპონია, კატარი. ასევე, სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა თემატიკის კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: პორტუგალია, ბელგია, გერმანია, ჩინეთი და სხვა.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

- გლობალურ და საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდის მიზნით, 2025 განმავლობაში, ჩატარდა 60-მდე ღონისძიება, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო. სააგენტომ უმასპინძლა 1 მედიატურს, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლთა მონაწილეობით.
- წლის მანძილზე აქტიურად ხორციელდებოდა მასშტაბური მარკეტინგული სარეკლამო კამპანიები: „აღმოაჩინე საქართველოს ბუნება“ - 2 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) სარეკლამო სივრცეებში განთავსდა ეროვნული პარკების ბილბორდები და ვიდეორგოლები; „Explore Georgia: Where Nature Speaks to the Soul"/"აღმოაჩინე საქართველო, სადაც ბუნება სულს ესაუბრება" - 3 თვის განმავლობაში, სპარსეთის ყურის ქვეყნებში განხორციელებული ციფრული მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული პარკების შესახებ სარეკლამო მასალები 20 მილიონამდე უნიკალურმა პოტენციურმა ვიზიტორმა იხილა; „შემოდგომის ბილიკები საქართველოს ეროვნულ პარკებში“ - 2 თვის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული პარკების ბილიკების შესახებ ინფორმაცია და ფოტოები განთავსდა სოციალურ ქსელებსა და ონლაინ პლატფორმაზე Marketer.ge; „მოიარე ეროვნული პარკები ნათია ბაკურაძესთან ერთად“- ოქტომბრის თვიდან მიმდინარეობს კამპანია, რომლის ფარგლებში, საზოგადოება ვიდეო ვლოგების მეშვეობით ეცნობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებს.
- შეიქმნა ეროვნული პარკების სახასიათო პერსონაჟი - ფოცხვერი „მალი“. საქართველოს ეროვნული პარკების სახასიათო გმირის შესარჩევად, ჩატარდა ღია კონკურსი, რომლის შედეგად, კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით, შეირჩა საქართველოს ეროვნული პარკების მასკოტი. მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული პარკების სახასიათო გმირის „მალის“ თემატური ილუსტრაციების, ანიმაციების და მასკოტის კოსტუმის შექმნის მიმართულებებით.

სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

ველური ბუნების საატენტო მუშაობს საქართველოს ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობების არდგენაზე. 2019 წელს სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობის ბაზაზე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს პროგრამის შედეგად -„ველური ბუნების მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ ჩამოყალიბდა სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო, რომლის მიზნები და ამოცანები არის: სახეობათა და მათი ჰაბიტატის აღრიცხვა და მონიტორინგი; სახეობათა აღწარმოებისთვის საჭირო სამუშაო გენოფონდის შექმნა; სახეობათა აღწარმოებისა და ჰაბიტატების აღდგენის დაგეგმვა; კერძო სექტორისთვის სადედე ჯგუფებისა და საკონსულტაციო მომსახურებების მიწოდება; სალიცენზიო ფართობების იდენტიფიცირება და სალიცენზიო პირობების შემუშავება სახეობათა და ჰაბიტატების კუთხით; მონადირეთა და მეთევზეთა სერტიფიცირება;

სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

www.wla.gov.ge

2025 წელს ველური ბუნების ეროვნული სააგენტო აქტიურად მუშაობდა კანონპროექტის სრულყოფაზე „ნადირობისა და სანადირო სახეობათა მართვის შესახებ“, რაც ხელს შეუწყობს ბრაკონიერობის შემცირებასა და ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მონადირეთა სერტიფიცირების სისტემის შექმნას.

კანონპროექტი განსახილველად გაგზავნილია როგორც გარემოსდაცვითი მიმართულების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ასევე, სამონადირეო კლუბებისა და მეურნეობების წარმომადგენლებთან.

კანონპროექტის მიზანია ნადირობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფასეულობების თანაბრად გათვალისწინება და სანადირო სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატი) მდგრადი მართვა, სახეობათა პოპულაციების კონტროლი, ასევე, მონადირეთა სერტიფიცირება.

ახალი რეგულაციით, სერტიფიცირებულ მონადირეს ექნება მონადირეთა საერთაშორისო ორგანიზაციის (CIC) მიერ აღიარებული ნადირობის სერტიფიკატი. ახალი კანონით საქართველოში დაიწყება ველური ბუნების მდგრადი მართვის სფეროში საუკეთესო ევროპული გამოცდილების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სანადირო სახეობების პოპულაციების აღდგენას, ასევე ბრაკონიერობის შემცირებას; მოხდება ადგილობრივი სახეობების აღწარმოება, სანადირო მეურნეობების წინასწარი დაპროექტება, საზოგადოებრივი სავარგულების დადგენა და ადგილობრივ სახეობებზე ნადირობის დაშვება ინდივიდუალური ლიცენზიით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახეობათა აღდგენის პროგრამის ფარგლებში, ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, 72 ჰექტარ ფართობზე მოეწყო კავკასიის მასშტაბით ყველაზე დიდი საშენი მეურნეობა. მეურნეობა, ამ ეტაპზე, 9 ინდივიდს აერთიანებს და აღჭურვილია თანამედროვე მონიტორინგის სისტემებით, მათ შორის, ფოტოხაფანგებით და კამერებით.

ალგეთის ეროვნული პარკი, რომელიც კეთილშობილი ირმის აღდგენის პროგრამისთვის მიზანმიმართულად შეირჩა, თრიალეთის ქედის შუაგულში, ზღვის დონიდან დაახლოებით 1800 მეტრზე მდებარეობს.

აქ არსებული ჰაბიტატები და მაღალი დაცულობის ხარისხი ქმნის ოპტიმალურ პირობებს როგორც პოპულაციის აღსადგენად, ისე მის დასაცავად. ასევე, 150 მეტრიან მონაკვეთზე განლაგებული თანამედროვე სისტემა საშენი მეურნეობის ღობეს ზამთარში ალგეთის ეროვნული პარკის

კლიმატისთვის დამახასიათებელი ძლიერი ქარისა და ქარბუქის შედეგად წარმოქმნილი ნამქერისგან დაიცავს. სტაბილური და მზარდი პოპულაციის ჩამოყალიბების შემდეგ, კეთილშობილი ირმის ინდივიდების ველურ ბუნებაში გაშვება სააგენტოს მიერ თანდათანობით მოხდება.

გადაშენება ემუქრება მხოლოდ კავკასიურ ქვესახეობას, რაც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე ბრაკონიერობის შედეგია. სწორედ ამიტომ, ალგეთის ეროვნული პარკის ვრცელ ტერიტორიაზე (8000ჰა) კეთილშობილი ირმის ველური პოპულაციის შეიქმნება, რის შედეგადაც იგი გეოგრაფიულად დაუახლოვდება სხვა არსებულ პოპულაციებს

2016 წლიდან ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, მდინარის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს.

ნაკადულის ანუ მდინარის კალმახი 2006 წელს „წითელ ნუსხაში“ მოხვდა. ველური ბუნების სააგენტო მუშაობს ნაკადულის კალმახის სხვადასხვა პოპულაციების გამრავლებაზე და შემდეგ მდინარეთა დათევზიანებაზე. მდინარის კალმახის საშენში 160 კვ.მ. შენობა აშენდა, სადაც კალმახის ინკუბატორი და სალიფსიტე აუზები განთავსდა. აღნიშნული საინკუბატორო ნაგებობა სააგენტოს აძლევს საშუალებას გამოჩეკილი ლიფსიტების რაოდენობა იყოს წლიურად 500 000-ზე მეტი. 2025 წელს ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ წითელი ნუსხის სახეობის, მდინარის კალმახით 33 მდე მდინარე და ტბა 700 ათასი ქვირითით უკვე დათევზიანდა. ჯამში, პროექტის დაწყებიდან დღემდე ველურ ბუნებაში განთავსდა 3.5 მლნ-ზე მეტი კალმახის ქვირითი.

ბოლო მონიტორინგის თანახმად, ქვეყნის მთის მდინარეებში ნაკადულის კალმახის სტაბილურად მზარდი პოპულაცია ფიქსირდება გაშვებული თევზების მეთვალყურეობა ფოტო და ვიდეო ხაფანგებით ხდება.

ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ველური სახეობის 5 000 ფრთაზე მეტი კოლხური ხოხბის, კაკბის და ხონთქრის ქათმის გამრავლება განახორციელა, ბუნებაში გაშვებისა და სამონადირეო მეურნეობებისთვის მიწოდების მიზნით.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყანაში ტყის მართვის ძირითადი ორგანოა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას ტყის მდგრადი მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს.

სააგენტო მართავს 1,738,282 ჰა სახელმწიფო ტყეს და ქვეყნის 9 რეგიონში რეგიონული სატყეო სამსახურების მეშვეობით ოპერირებს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

ტყის მოვლა-აღდგენა

2025 წლის განმავლობაში, ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების 37 პროექტით გათვალისწინებულ 3,651.2 ჰა ფართობზე, მათ შორის: 1,851.9 ჰა ფართობზე (28 პროექტი) განხორციელდა წინა წლებში აღდგენილი ფართობების მოვლის სამუშაოები, ხოლო, 1,798.9 ჰა ფართობზე დაიწყო ტყის აღდგენა-გაშენების ახალი პროექტებით (9 პროექტი) გათვალისწინებული სამუშაოები.

განახლდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების გრძელვადიანი გეგმა, რომლის თანახმადაც, დაგეგმილია ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების ყოველწლიური ზრდა. 2025-2036 წლებში, ტყის აღდგენის ღონისძიებები ჯამში 51 000 ჰა-მდე ფართობზე განხორციელდება.

ტყის სანიტარიული მდგომარეობა

2025 წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგისა და ბრძოლის მიზნით, მავნებელ-დაავადებების მართვისთვის განთავსდა 1,500 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი. დაჭერილი და განადგურებული იქნა 64 000-მდე მავნე მწერი. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მავნებლის რიცხოვნობა გასულ წლებთან შედარებით მკვეთრადაა შემცირებული.

ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენცია

ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მასშტაბით განახლდა ტყის ხანძრების მართვის გეგმები და განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვა ყველა სატყეო უბნისათვის.

ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის სატყეო უბნის 19300 ჰა ფართობზე დასრულდა პირველი და მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები. დასრულდა თიანეთის სატყეო უბანზე ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაცია) საველე სამუშაოები - 40924 ჰა ფართობზე.

ასევე, ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაცია) საველე სამუშაოები დასრულდა საგარეჯოს სატყეო უბანის 37682 ჰა ფართობზე; სამუშაოები დასრულებულია გურჯაანის სატყეო უბანის 28848 ჰა ფართობზეც. აღნიშნულ სატყეო უბნებზე მიმდინარეობს კამერალური სამუშაოები, ტყის მართვის გეგმის შემუშავებისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დამტკიცდა დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა 23644 ჰა ფართობისთვის.

მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმის პროექტების შემუშავება ყვარლის (45044 ჰა), თელავის (52331 ჰა), ონისა (57417 ჰა) და ცაგერის (50827 ჰა) სატყეო უბნებზე.

2014-2025 წლებში, ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები 1,018,086 ჰა ფართობზე განხორციელდა და განახლებულია მონაცემები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ფართობის 50%-ისთვის.

ტყითსარგებლობა

- სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრებით დამზადებულია 94,939.19 კბმ მერქნული რესურსი.
- საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით მიწოდებულია 15,555.6 კბმ მერქნული რესურსი.
- მოსახლეობის სათბობ შეშაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია 213,320,33 კბმ მერქნული რესურსი.

ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები

მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მოეწყო 7,775.5 მ. და რეაბილიტაცია ჩატარდა 86,364 მ. სატყეო-სამეურნეო გზაზე.

მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჯამში, დღეისათვის მოწყობილია 70 „საქმიანი ეზო“ ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს რეგიონებში სატყეო სამსახურების გაძლიერების, სამუშაო პირობების გაუმჯობესების, მოსახლეობისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, 2025 წელს აშენდა ახალი ადმინისტრაციული შენობები ონში, სადმელში, ლენტეხში, მცხეთასა და ასპინძაში. ხოლო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები მიმდინაროებს საჩხერეში, დუშეთში, ზესტაფონსა და ბახმაროში. გარემონტდა და აღიჭურვა რეგიონული სატყეო სამსახურების ოფისები ცხრავე რეგიონში, რაც უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტყესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სერვისების მიღების გამარტივებას.

სააგენტოზე დაკისრებული მოვალეობებისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად , 2025 წელს შეძენილ იქნა 45 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი (მოწოდება მოხდება 2026 წელს), 14 ერთეული დრონი და 300 ერთეული ფოტოხაფანგი.

საერთაშორისო თანამშრომლობა

სლოვენიის რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების ცენტრსა (CMSR) და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების, „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში'' პროექტის II ფაზის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტში მოეწყო 3 საკემპინგე, 3 საპიკნიკე სივრცე და ჯამში 26 კმ სიგრძის 5 საფეხმავლო ბილიკი; ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2,714 კმ გზას, ხოლო მოეწყო - 2,461 კმ. პროექტი წარმატებით დასრულდა.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში, 2025 წლის 14 ივნისიდან სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წიაღის მდგრადი მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა, მიწისქვეშა სივრცის გამოყენებისა და სასარგებლო წიაღისეულით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა. ასევე, კონპეტენციის ფარგლებში სააგენტო ახორციელებს - სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (ან გამოვლინების) შესაბამისი რუკების მომზადებას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების აღრიცხვას, სახელმწიფო ბალანსისა და საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნასა და მათი განახლების სამუშაოთა ორგანიზებას, სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაციის მომზადებას გეოლოგიური ფონდური მასალებით. ამასთან, ახორციელებს წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

მიმდინარე წელს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების საერთო ვადები შემცირდა.

ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“, სადაც დეტალურად განისაზღვრა ლიცენზიის გაცემამდე თითოეული ეტაპის ვადები. აღნიშნული ცვლილება, მნიშვნელოვნად ამარტივებს ლიცენზიის გაცემის პროცესს და იძლევა შესაძლებლობას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სწრაფად და ეფექტიანად მიიღოს გადაწყვეტილება. საბოლოო ჯამში, ადმინისტრაციული წარმოების საერთო ვადა, რომელიც მოიცავს როგორც აუქციონის გამოცხადებას, ისე უარის თქმის გადაწყვეტილებას, არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს.

ამავე პერიოდში, განხორციელდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 ივნისის N210 დადგენილებაში, რომელიც ითვალისწინებს გეოსაინფორმაციო პაკეტის მომზადებისთვის სტანდარტული და დაჩქარებული მომსახურების საფასურებს.

გაეროს გარემოსდცვითი ასამბლეის მეშვიდე სესიიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს მინერალებისა და ლითონების გარემოსდაცვითი კუთხით სათანადო მართვის მხარდაჭერის გაძლიერებას საერთაშორისო დონეზე. ზემოაღნიშნული რეზოლუციის ტექსტის შემუშავებაში და საკომიტეტო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.

სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეებდნენ, ყირგიზეთის რესპუბლიკაში, CAREC-ის პროგრამის მაღალი რანგის თანამდებობის პირების (Senior Officials’ Meeting) შეხვედრაში და სადაც, მოხსენება

გაკეთდა საქართველოს ხედვაზე, საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე კრიტიკული მინერალების მიმართულებით. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ADB-სთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები, რომელიც გულისხმობს სექტორის განვითარების კვლევის მხარდაჭერას.

2025 წელს, სააგენტოს მიერ მომზადდა სალიცენზიოდ შემოსულ განცხადებებზე გეოსაინფორმაციო პაკეტი და ტოპოგრაფიული რუკა - 1 506 ობიექტზე. მათ შორის: ლიცენზიისგან გათავისუფლების და ლიცენზიის ადგილმონაცვლეობის მიზნით - 146 ობიექტზე; მომზადდა/დაკორექტირდა სალიცენზიო განცხადების 130 ტოპოგრაფიული რუკა. წიაღზე დამაგრებასთან დაკავშირებით მომზადდა ინფორმაცია 4 899 მიწის ნაკვეთზე; გაიცა გეოლოგიურ ფონდებში დაცული მასალების მიხედვით 35 ინფორმაცია. ასევე, 2025 წლის პერიოდში განხორციელდა 920 გეოლოგიური რუკის რეფერენსირება.

2025 წელს მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, შემოვიდა 1 527 განაცხადი. სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზისა) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, აუქციონი გამოცხადდა 272 სალიცენზიო ობიექტზე. აღნიშნულ პერიოდში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 428 ლიცენზია გაიცა, აქედან პირდაპირი წესით გაცემულია 230 ლიცენზია.

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო უზრუნველყოფს ადამიანისა და გარემოს დაცვას მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან და ახორციელებს ბირთვული უსაფრთხოების, დაცულობისა და რადიაციული დაცვის ღონისძიებებს.

ინსპექტირება და რეაგირება

- 2025 წლის დასაწყისიდან ჩატარებულ იქნა 170 ინსპექტირება (147 გეგმური, 23 არაგეგმური) სამრეწველო და სამედიცინო ობიექტებში;
- 57 ორგანიზაციაში გამოვლინდა კანონმდებლობასთან შეუსაბამობა; შედგენილია 111 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- ინსპექტირებისა და რეაგირების დეპარტამენტმა 26-ჯერ მოახდინა რეაგირება სასაზღვრო პუნქტებსა და ტერმინალებში დაფიქსირებულ რადიაციულ განგაშებზე, შემოსულ შეტყობინებებსა და რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო მიმოქცევის ფაქტზე;
- განხორციელდა სააგენტოს დებულებით გათვალისწინებული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები;
- გაგრძელდა გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი ავტომატური სადგურებით.

ავტორიზაცია

2025 წლის განმავლობაში ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირების მიზნით:

- გაიცა 77 ლიცენზია, გაუქმდა 30 ლიცენზია;
- ლიცენზიის მფლობელ 125 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება;
- ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 43 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტსა და შეძენაზე.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვა

- მობილური ლაბორატორიის გამოყენებით ჩატარდა აჭარისა და კახეთის გარკვეული ტერიტორიების რადიოლოგიური მონიტორინგი. შემოწმებული ტერიტორიები მაიონებელი გამოსხივების დოზის სიმძლავრიდან გამომდინარე რადიაციული თვალსაზრისით უსაფრთხოა ადამიანისა და გარემოსთვის;
- სააგენტო აქტიურად მუშაობს გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხო და დაცულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს მსგავსი წყაროების მოძიებას, დახასიათებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას, შესაბამის მოპყრობას (გადაფუთვა) და მათ უსაფრთხო განთავსებას

რადიოაქტიური ნარჩენების საცავში. საანგარიშო პერიოდში, რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსდა რამდენიმე ასეული დაბალაქტიური რადიოაქტიური წყარო, რომლებიც გადმოცემული იქნა საქართველოში არსებული კვლევითი ინსტიტუტებიდან;

- სააგენტოს მართვის ქვეშ არსებული ობიექტების გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის მიზნით, საცავში მოეწყო რადიოაქტიური ნარჩენების დახასიათებისა და გაზომვების ახალი ლაბორატორია, აღჭურვილი მაღალი სისუფთავის გერმანიუმის დეტექტორით, ალფა-ბეტა მთვლელით და სხვა მაღალტექნოლოგიური გაზომვის საშუალებებით;
- ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) მხარდაჭერით განახლდა სამარხის ტერიტორიაზე 6 რადიოლოგიური მონიტორინგის სადგური. აღნიშნული სადგურები ზომავს სამარხის საკონტროლო ზონის პერიმეტრზე არსებულ გამა-გამოსხივების დოზის სიმძლავრეს. გაზომვის შედეგები უწყვეტ რეჟიმში ტრანსლირდება სამარხის ტერიტორიაზე შესასვლელში და მისაწვდომია მოსახლეობისთვის;
- სააგენტოს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტებზე ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვისა და სტანდარტიზაციის მიზნით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის პროცედურები (ჯამში 17 პროცედურა). აღნიშნული პროცედურები გადაითარგმნება ქართულ ენაზე და ძალაში შევა 2026 წლიდან.

დარიშხანის შემცველი ნარჩენების სისტემური მართვა

ლენტეხის მუნიციპალიტეტში (სოფ. ცანა) საბჭოთა პერიოდში არსებული საწარმოს შედეგად დაგროვდა დარიშხანის შემცველი ნარჩენები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ღია ცის ქვეშ იყო დარჩენილი. 2022 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ნარჩენების უსაფრთხო მართვის უფლებამოსილება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიენიჭა.

მიმდინარე წელს მოეწყო 50 500 მ3 მოცულობის დარიშხანის შემცველი ნარჩენების კონსერვირებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარკოფაგი, რომელშიც მიმდინარე წელს განთავსდა ცანა 3-ზე არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენები. მოეწყო სარკოფაგის ქვაბული, პროექტით გათვალისწინებული ყველა საჭირო ფენით (გეოტექსტილი, ქვიშა, გეომემბრანა) და სადრენაჟო/სავენტილაციო სისტემით. საცავის გარშემო მოეწყო დამცავი მიწაყრილი. სამუშაოების ბოლო ეტაპზე სარკოფაგი გადაიხურა დამცავი ფენებით.

საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

2025 წელს სააგენტოს მიერ მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N77 - ტექნიკური რეგლამენტის - მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობის რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N179 „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ბირთვული დაცულობის“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის N160 დადგენილება - ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეროვნული გეგმის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის სახეებისა და ამ მომსახურების საფასურის ოდენობების დამტკიცების შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი 01/01/2026);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N525 - ბირთვული და რადიაციული საქმიანობის შეტყობინებისა და ავტორიზაციის წესების დამტკიცების თაობაზე (ძალაში შესვლის თარიღი 01/01/2026);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N518 - „მონიტორინგის განხორციელების წესის ტექნიკური რეგლამენტის“ დამტკიცების შესახებ;
- ვეტერინარიაში რადიაციული დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შეახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პქოექტი; (წარდგენილია მთავრობაზე დამტკიცების მიზნით).

საერთაშორისო თანამშრომლობა და მომავალი ნაბიჯები

- მიმდინარეობს გარემოს რადიოლოგიური მონიტორინგის ლაბორატორიის კონცეფციის შემუშავება;
- ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობით (IAEA), ეროვნული პროექტის ფარგლებში, განახლდება და გაძლიერდება გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგის შესაძლებლობები - ნაცვლად არსებული 5-ისა, ქვეყნის მასშტაბით მონიტორინგი განხორციელდება 13 ლოკაციაზე. ამჟამად, მონიტორინგის სადგურები შეძენილია და სისტემური გამართულობის მიზნით მიმდინარეს საჭირო სამუშაოები;
- 2025 წელს, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) გენერალური კონფერენციის ფარგლებში, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის კოლეგა უწყებების წარმომადგენლებთან, რის საფუძველზეც გაფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმები და გაძლიერდება რეგიონული თანამშრომლობა (რაც, ასევე, გულისხმობს ერთობლივი სწავლებების ორგანიზებას);
- სააგენტომ დაასრულა ბირთვული დაცულობის კითხვარის შევსება, რის საფუძველზეც, ქვეყანა, 2026 წლის დასაწყისში უმასპინძლებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მისიას ბირთვული დაცულობის ინტეგრირებული გეგმის გასაახლებლად (რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებით);
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო გეგმავს, განაახლოს ბირთვული უსაფრთხოების შესახებ კონვენციასთან შეერთებისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

შპს საქართველოს მყარის ნარჩენების მართვის კომპანია

საქართველოს მყარის ნარჩენების მართვის კომპანია, საქართველოს მასშტაბით, გარდა ქ.თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, 54 ნაგავსაყრელს მართავს. აქედან, 28 სტანდარტების შესაბამისად არის დახურული, ხოლო 26 ნაგავსაყრელი ოპერირებს, რომლებსაც პერიოდულად უტარდება კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, მოწყობილია ნარჩენების გადამტვირთავი 6 სადგური.

შპს საქართველოს მყარის ნარჩენების მართვის კომპანია

www.waste.gov.ge

დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 6 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა, ნარჩენების გადამტვირთავი 18 სადგურის მოწყობა და არსებული ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა.

დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს 2 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ზუგდიდისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, ჯამური ღირებულებით 81 მილიონი ლარი.

ახალ ობიექტებზე გამოყენებული იქნება გამონაჟონი წყლის მაღალტექნოლოგიური გამწმენდი „რევერსული ოსმოსისა“ და აირების შემკრები სისტემა, რაც უზრუნველყოფს, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

2025 წელს, გაფორმდა სამშენებლო ხელშეკრულება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობის შესახებ ფოთსა და მესტიაში (სოფ.ლახანი), ჯამური ღირებულებით 11.6 მილიონი ლარი და სამშენებლო სამუშაოები დაიწყო ფოთში.

ზუგდიდისა და თეთრიწყაროს ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტები და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურები მოემსახურება სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების 500 000-ზე მეტ მოქალაქეს.

2025 წელს აშენდა ნარჩენების გადამტვირთავი 2 სადგური ბოლნისსა და ამბროლაურში. დაიხურა ონისა და რუსთავის ნაგავსაყრელები, განხორციელდა 8 არსებული ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები და მიმდინარეობდა 4 არსებული ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჯამური ღირებულებით 11,8 მილიონი ლარი.

მთავრობის განკარგულების საფუძველზე, 2025 წელს, გურიის რეგიონში, კომპანია ახორციელებდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მოვლა-დასუფთავების სამუშაოებს. აღნიშნულ სამუშაოებს კომპანია 2021 წლიდან ასრულებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ წინწყაროს მიმდებარედ, რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხე-ტყის კონტროლის გაძლიერება ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

www.des.gov.ge

სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით, ხოლო სატრანსპორტო სექტორიდან დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, დეპარტამენტი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს.

ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგები

2025 წელს ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 597 ფაქტი.

მათ შორის:

- 9 980 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი
- 617 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტი.

10 597 სამართალდარღვევიდან, 2710 ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის ფაქტია, უკანონო ტყითსარგებლობა - 1915, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევა - 1675, ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევა - 1341, ლიცენზიების პირობების დარღვევა - 826, მიწის კანონმდებლობის დარღვევა - 586, წიაღის უკანონო მოპოვება - 382, ნებართვის პირობების დარღვევა - 342, წყლის კანონმდებლობის დარღვევა - 327, სხვა დარღვევა - 493 ფაქტი.

სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ 6 011 878 ლარი შეადგინა.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებული ოდენობა კი 4 081 980 ლარია.

2025 წელს გამოწერილია 6016 საჯარიმო ქვითარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის.

რეგულირების ობიექტების ინსპექტირება

2025 წელს, რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს

დაქვემდებარებული საწარმოების) 3072 ინსპექტირება განხორციელდა, მათ შორის, - 398 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:

- 86 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტი
- 2 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია/ტყის ფონდის ფართობები (შერჩევით)
- 14 - სოჭის გირჩით/თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზია
- 7 - სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- 30 - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- 259 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2025 წელს 150 რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავი შეკავების მიზნით.

რეგულირების ობიექტების შემოწმების მთავარი შედეგი ის არის, რომ ობიექტები ვალდებული არიან აღმოფხვრან გამოვლენილი დარღვევები და მათი საქმიანობა, მაქსიმალურად შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, რაც უმნიშვნელოვანესია პრევენციისთვის.

პრევენციული ღონისძიებები

- „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა 30 შემოწმება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით. ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესაბამისად, გარემოში გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმის ინტროდუქციის ფაქტი არ გამოვლინდა.

- საავტომობილო საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისსა და რეგიონებში შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები 162 ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებიდან (მათ შორის, 56 მიმდინარე). კვლევის შედეგად 22 სინჯში საწვავის ხარისხი არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. დეპარტამენტის მიერ თითოეულ სამართალდარღვევაზე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

- პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისას კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების დადგენის მიზნით, განხორციელდა 8 ობიექტის ინსპექტირება და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები. 7 ობიექტზე გამოვლინდა ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა. დეპარტამენტის მხრიდან დარღვევებზე გატარდა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

- აქტიურად ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით: მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი 764 საამქრო. ამავე პერიოდში გამოვლინდა 62 არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო. მასალები, შესაბამისი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

- შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 259 გემის ინსპექტირება; გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების 14 შემთხვევა. პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული 100 000 ლარით. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა საერთო ოდენობამ შეადგინა 49 539 ლარი. დაწესებულია კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

- საწარმოო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შესრულების მიზნით თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში მიმდინარე მდგომარეობით რეგისტრირებულია 36 კომპანია.

შესაძლებლობების გაძლიერება

აქტიურად მიმდინარეობდა და გრძელდება დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი, რაც გულისხმობს თანამედროვე აღჭურვილობის შეძენას, ელექტრონული სისტემების დანერგვას, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რეგიონული ოფისების მშენებლობა/რეაბილიტაციას. 2025 წელს დასრულდა კახეთის რეგიონული სამმართველოს ახალი ოფისის მშენებლობა თელავში; დაიწყო გურიის განყოფილების ოფისის მშენებლობა ოზურგეთში (დასრულდება 2026 წელს). სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს მცხეთა-მთიანეთის, აჭარისა და გურიის, სამცხე-ჯავახეთის ოფისებში. სარემონტო სამუშაოები გაგრძელდება დასავლეთის რეგიონული სამმართველოს რაჭის განყოფილების ოფისში.

2025 წელი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ გამოვლინ და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 597ფაქტი:

- ადმინისტრაციული–9 980 ფაქტი;
- სისხლისსამართლის–617 ფაქტი.



	ცენტრალური ოფისი	მიდა ქართლის სამმართვ.	მცხეთა-მთიანეთის სამმართვ.	ქვ.ქართლის სამმართვ.	კახეთის სამმართვ.	სამცხე-ჯავახეთის სამმართვ.	დასავლეთი.ს სამმართვ.	სამეგ.-ზ/სვანეთის სამმართვ.	აჭარისა და გურიის სამმართვ.	შავი ზღვის დაცვის სამმართვ.
ადმინ.	861	634	1102	1545	1842	466	1040	999	1390	101
სისხლ.	12	59	32	83	61	17	159	71	123	0



დიაგრამა: სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2025წ.

დიაგრამა: სამართალდარღვევათა გამოვლენა რეგიონების მიხედვით, 2025წ.

2025 წელი

გამოწერილია 6016 საჯარიმო ქვითარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის

მომზადებულია ანალიტიკური სამსახურის მიერ

სსიპ
გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) პრინციპების შესრულებას ეროვნულ დონეზე და, ასევე, საქმიანობას წარმართავს გაეროს ევროპის ეკონომიკის კომისიის (UNECE) „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ სტრატეგიის ხედვებისა და მიმართულებების შესაბამისად. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

www.eiec.gov.ge

აღნიშნული ვალდებულებებისა და მიზნების შესასრულებლად, ცენტრი მუდმივად უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით განათლებისა და ცნობიერების დონის ზრდის ხელშეწყობას, მათ შორის, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის - ფერმერების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო და საჯარო სექტორების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების გაძლიერებას ტრენინგებზე, სასწავლო პროგრამებსა და კურსებზე, კონკურსებზე, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალებზე ხელმისაწვდომობის გზით.

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 2016 წლიდან ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებისა და მეთოდისტების გადამზადების პროგრამას. ცნობიერების ამაღლებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებზე დაფუძნებული ტრენინგები მოიცავს იმ ძირითად გარემოსდაცვით საკითხებს, რომელთა აღრეული ასაკიდან სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის.

პროგრამა აერთიანებს შემდეგ თემატურ მიმართულებებს:

- ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო
- წყლისა და ენერგიის დაზოგვა
- ნარჩენების მართვა
- კლიმატის ცვლილება.

2025 წელს პროგრამა განხორციელდა შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 537 აღმზრდელი და მეთოდისტი. მონაწილეებს გადაეცათ სასწავლო სახელმძღვანელოები და ეკოპაკეტები, სასწავლო პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების მიზნით.

პროგრამის განხორციელების შედეგად, 2016 წლიდან დღემდე, ჯამურად გადამზადებულია 967 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებელი და მეთოდისტი.

განახლებული პროგრამის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გრძელდება.

განათლება სკოლებში

ცენტრის მიერ დაწყებული გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების სფეროში საქმიანობის გაგრძელების ფარგლებში, შემუშავდა პროგრამა „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, რომელიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის. პროგრამა წარმოადგენს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსს VII–XII კლასების მასწავლებლებისთვის.

2023-2024 წლებში მომზადდა პროგრამის ტექსტური ნაწილი როგორც გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით (10 სახელმძღვანელო), ისე აგრარული განათლების მიმართულებით (8 სახელმძღვანელო). შემუშავებული სასწავლო მასალები მოიცავს ორივე მიმართულებისთვის მნიშვნელოვან და ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს.

გარემოსდაცვითი განათლების მიმართულება:

- გარემოსდაცვითი გამოწვევები ხმელეთზე
- წყლის რესურსების მდგრადი მართვა
- მსოფლიო ოკეანე და მასთან დაკავშირებული პრობლემები
- ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები
- კლიმატის ცვლილება
- სოფლის მეურნეობის გამოწვევები და მიღწევები
- ქალაქების მდგრადი განვითარება
- ნარჩენების მართვა
- გზა მდგრადობისკენ - ცირკულარული ეკონომიკა
- მდგრადი წარმოება და მოხმარება

აგრარული განათლების მიმართულება:

- მცენარეთა დაცვა
- მემცენარეობა სკოლებისთვის
- ბიომეურნეობა და ბიოფერმის მართვა
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობ
- აგრონომია
- აკვაკულტურა და მეთევზეობა
- ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
- სურსათის უვნებლობა და ხარისხი

პროგრამის შემუშავების დასრულების შემდეგ დაგეგმილია სახელმძღვანელოების ბეჭდვა და ტრენინგების ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებისთვის.

სპეციალიზებული ტრენინგები

ცენტრი უკანასკნელი 3 წელია ახორციელებს სპეციალიზებულ აკრედიტებულ კურსებს „ტყის ინვენტარიზაცია“ და „გარემოსდაცვითი მმართველი“.

საანგარიშო პერიოდში, გარემოსდაცვითი მმართველის კურსი გაიარა 12-მა მონაწილემ.

განხორციელებული სასწავლო პროგრამები მიზნად ისახავდა სექტორის სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაციის გაძლიერებას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

მწვანე და აგროსტიპენდიების პროგრამები

დეფიციტური გარემოსდაცვითი პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა.

2025 წელს, პროგრამის ფარგლებში 32 მაგისტრატურის წარჩინებულ სტუდენტს (20 ქალი; 12 კაცი) გადაეცა 1 500 ლარის ოდენობის სტიპენდია.

2022-2025 წლებში, ჯამურად, დაჯილდოვდა 128 მაგისტრატურის სტუდენტი.

დეფიციტური აგრარული პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, 2025 წელს, „აგროსტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში, 40 წარჩინებულ სტუდენტს (21 ქალი; 19 კაცი), 12 პროფესიული სასწავლებლიდან და 6 უნივერსიტეტიდან, გადაეცა 500, 1 000 და 1 500 ლარის ოდენობის სტიპენდიები, სწავლების საფეხურის შესაბამისად.

კონკურსები და ცნობიერების ამაღლება

კონკურსი „მწვანე ჯილდო“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას გარემოსდაცვით სფეროში. მისი მიზანია იმ მასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრაქტიკოსების დაფასება და წახალისება, რომლებიც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ და „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ და სისტემურად უწყობენ ხელს ბავშვებისა და ახალგაზრდების გარემოსდაცვითი და აგრარული ცნობიერების ამაღლებას.

2025 წელს მწვანე ჯილდო გადაეცა 10 სკოლის პედაგოგს და 10 ბაღის პედაგოგს.

ტრენინგები და სემინარები

2025 წელს ცენტრის პროგრამებში მონაწილეობა მიიღო საერთო ჯამში 6371 მონაწილემ, მათ შორის:

- 5706 გარემოსდაცვითი მიმართულებით
- 573 აგრარული მიმართულებით
- 92 სამინისტროსა და სხვა უწყებების თანამშრომლებისთვის.

საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრები სკოლებში

თბილისსა და რეგიონებში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 1940 მოსწავლემ და პედაგოგმა.

შეხვედრების ფარგლებში განხილული იყო ნარჩენების მართვის საკითხები, გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბების მნიშვნელობა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

www.mepa.gov.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტები

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი

„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- შემუშავდა „ფერმერული მეურნეობებისა და სოფლად არსებული საწარმოების რეესტრის წარმოებისა და ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მართვის წესები“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 09.12.2025 წლის N 2-758 ბრძანებით;
- შემუშავდა „ანგარიშგებისა და მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბაზის წარმოების წესი“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 11.11.2025 წლის N2-697 ბრძანებით;
- მომზადდა „საქართველოს სოფლის მეურნეობა, გამოწვევები და პერსპექტივები“ და „საქართველოს სოფლის მეურნეობა, პრიორიტეტები და არსებული მდგომარეობა რეგიონების მიხედვით“ პრეზენტაციები;
- მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საინვესტიციო გზამკვლევი;
- შემუშავდა საქართველოში თევზის სატბორე მეურნეობების წყალსამეურნეო გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე შპს „საქართველოს მელიორაცია“ აღნიშნულ მეურნეობებში განახორციელებს მოხმარებული წყლის აღრიცხვას;
- შემუშავდა საქართველოში აკვაკულტურის მეურნეობების აღრიცხვის სტრუქტურა და რეესტრი;
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, მომზადდა „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- მიმდინარეობს „სანაშენე საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობა.

სტატისტიკური ანალიზი[1]

- 2024 წელს, აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვება 18.1 მილიარდი ლარია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 1.4 მილიარდი ლარით (8.4%), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 10.5 მილიარდი ლარით (138.7%-ით) აღემატება.
- 2024 წელს, სოფლად დასაქმებულთა რაოდენობამ 560.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 19.2 ათასი კაცით (3.6%-ით), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 41.5 ათასი კაცით (8.0%-ით) აღემატება.
- 2024 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობამ 225.0 ათასი კაცი შეადგინა, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა 16.0%-ია.
- სოფლად უმუშევრობის დონე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მინიმალურ ნიშნულზეა 2024 წელს და 13.3% შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელზე 9.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

[1] 2025 წლის ეროვნული ანგარიშების წინასწარი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის მარტში, სამუშაო ძალის მონაცემები კი 2026 წლის თებერვალში.

ექსპორტი

- 2025 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1.8 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში 244.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების.
- 2025 წლის მდგომარეობით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 9.9%-ით გაზრდილია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენს: სპირტიანი სასმელები (282.7 მლნ აშშ დოლარი), ყურძნის ნატურალური ღვინოები (267.9 მლნ აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (173.1 მლნ აშშ დოლარი), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (171.7 მლნ აშშ დოლარი), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (166.5 მლნ აშშ დოლარი).

სურსათი პოლიტიკის დეპარტამენტი

- ევროკავშირის მიერ მომზადებული გაფართოების ანგარიშის 12.2 A რეკომენდაციის საფუძველზე, დამტკიცდა „სურსათის უვნებლობის სტრატეგია (2025- 2028 წლები) და სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცდა რისკის ანალიზის პლატფორმის დებულება;
- DCFTA-ის ფარგლებში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება განხორციელდა ევროკავშირის 16 ნორმატიულ აქტთან;
- დამტკიცდა სპირტიანი სასმელების შესახებ ახალი ტექნიკური რეგლამენტი;
- მომზადებულია „ტექნიკური რეგლამენტი - ყავის, ყავის პროდუქტების და ყავის სუროგატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- ქვეყანაში სურსათთან დაკავშირებული ხარისხის სქემების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა და საქპატენტის მიერ ადგილწარმოშობის დასახელებად დარეგისტრირდა „ასხის მთის სულგუნი“. გეოგრაფიული აღნიშვნით დარეგისტრირდა „საქართველოს თიანეთის ტრადიციული ლუდი“, „რაჭული ლორი“. არსებითი ცვლილებები მომზადდა და საქპატენტში ხელახალი რეგისტრაციისათვის წარდგენილია ადგილწარმოშობის დასახელების - „ბორჯომი“ განახლებული სპეციფიკაციები, კონტროლის გეგმა და საერთო დოკუმენტი;
- შეიცვალა ცხოველური პროდუქტის იმპორტის კონტროლის სისტემა, რაც გულისხმობს კეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხიდან იმპორტის კონტროლის თანამედროვე სისტემაზე გადასვლას, ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვას;
- ქვეყანაში პირველად შემუშავდა „ცოფით ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდისა და ოდენობის განსაზღვრის წესი, რაც მინიმუმამდე დაიყვანს/აღმოფხვრის ქვეყანაში ცოფის გავრცელებას;
- ძალაში შევიდა ვეტერინარებისა და ვეტ. ტექნიკოსების სერტიფიცირების წესი, რომელიც ხელს შეუწყობს ვეტერინარებისა და ვეტ. ტექნიკოსების უწყვეტი განვითარების სისტემის დანერგვასა და კონკურენტუნარიანი ვეტერინარებისა და ვეტ.ტექნიკოსების მომზადებას.

მელიორაციისა და მიწის მართვის პოლიტიკის დეპარტამენტი

„ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 10 ნოემბრის საქართველოს მთავრობის #501 დადგენილება

ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია მოქმედი კანონების, ევროკავშირის დირექტივებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული თავისებურებებისა და ნიადაგის ტიპების გათვალისწინებით.

ტექნიკური რეგლამენტის მიზანია ნიადაგის ხარისხის დაცვა, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა და დამაბინძურებლების ნიადაგში მოხვედრის პრევენცია, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება.

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს ნიადაგების დაცვისა და ხარისხის კონტროლის ჰიგიენურ მოთხოვნებს და ნიადაგების კლასიფიკაციას ტექნოგენური ზემოქმედების მიხედვით. ამასთან, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მოძველებული პრინციპი იცვლება ზღვრული მნიშვნელობების იერარქიული სისტემით, მათ შორის, მიწათსარგებლობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც ასახავს რისკის ინდივიდუალურ დონეს და, ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში, შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს.

საქართველოს კანონის პროექტი საძოვრების მართვის შესახებ

საძოვრების მართვის შესახებ სპეციალური კანონმდებლობა არ არსებობს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს საძოვრების მართვის ძირითად სისტემურ საკითხებს, მათ შორის მდგრადი სარგებლობის დაგეგმვას, ძოვების გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგს; არ არის განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო. ამასთანავე, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია საძოვრების ფართობებისა და მდგომარეობის შესახებ, რაც ეფექტიან მართვასა და დაცვის პროცესს აფერხებს.

კანონის პროექტი ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს - გარემოსდაცვით მდგრადობას და სოციალურ სამართლიანობას. კანონპროექტით განსაზღვრულმა საძოვრებით სარგებლობის მექანიზმებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ რესურსით გრძელვადიან მდგრად სარგებლობას და მის შენარჩუნებას, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს სასურსათო უსაფრთხოება, მეცხოველეობის სექტორის განვითარება და ყველა ტიპის მწარმოებლის ეკონომიკური სარგებელი.

წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია „წმო-საგარეჯო 1“ დაფუძნება

მელიორაციისა და მიწის მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით, „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2244 ჰა ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია „წმო-საგარეჯო 1“, რომელიც შედგება 184 წყალმომხმარებელისგან.

დეპარტამენტმა ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რეგისტრაციაში გაატარა „წმო-საგარეჯო 1“ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია.

ორგანიზაციას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის კოორდინაციით, 2025 წელს, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით 10 წლის ვადით გადასცა მის მომსახურების არეალში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, რომლის ჯამური ღირებულებაა 14 786 057 ლარი; ასევე, ორგანიზაციას გადაეცა ავტომობილები და საოფისე ინვენტარი.

ამ ეტაპზე, დეპარტამენტი მუშაობს კანონით დადგენილი საირიგაციო სისტემის მართვის მონიტორინგის წესის შემუშავებაზე.

გარემოსა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დეპარტამენტი

- შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს N1438 განკარგულებით დამტკიცდა შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025-2027 წლების გეგმა. გეგმა მიზნად ისახავს შავი ზღვის ზონის მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით კი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას;
- 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში ავტომობილების ემისიის ევრო 5/V სტანდარტი სრულად შევიდა ძალაში. კერძოდ, იგი ამოქმედდა სატვირთო ავტომობილებისა (N1, N2, N3) და ავტობუსებისთვის (M3), რაც ითვალისწინებს ქვეყანაში ევრო 5/V სტანდარტთან შეუსაბამო ტრანსპორტის რეგისტრაციის აკრძალვას;
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავდა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 25 ივლისის N2-453 ბრძანებით დამტკიცდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ზონებისა და აგლომერაციების კლასიფიკაციის შესახებ დოკუმენტი;
- „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც ქვეყანაში ნერგავს მდინარეთა სააუზო მართვის მოდელს, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „მდინარეთა აუზებისა და სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა ქვეყნის ტერიტორიაზე მდინარეთა აუზებისა და სააუზო უბნების საზღვრები, რაც წარმოადგენს სააუზო მართვის სისტემის ინსტიტუციურ საფუძველს;
- მდინარეთა სააუზო მართვის მოდელის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, განისაზღვრა მათი ფუნქციები და უფლებამოსილებები. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მდინარეთა აუზებისთვის ჩამოყალიბდება შესაბამისი საბჭოები;

- წარმატებით შესრულდა კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები. წლის განმავლობაში დასრულდა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს წარედგინა საქართველოს მეხუთე ეროვნული შეტყობინება (5NC), რომელიც მოიცავს ქვეყანაში სათბურის გაზების ემისიების, შერბილების ღონისძიებების, ადაპტაციისა და საჭიროებების შესახებ განახლებულ ინფორმაციას;
- განხორციელდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) განახლება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა NDC 3.0 დოკუმენტი. დოკუმენტი ჩამოყალიბდა სექტორული კონსულტაციებისა და ანალიტიკური სამუშაოების შედეგად და მიზნად ისახავს საქართველოს კლიმატის ცვლილების მიმართ ამბიციის გაძლიერებას, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან შესაბამისობაში;
- მიმდინარე წელს განხორციელდა პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR) ტექნიკური შემოწმება. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხრიდან დანიშნულმა საერთაშორისო ექსპერტებმა შეაფასეს ანგარიშის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური შესაბამისობა და წარმოადგინეს საწყისი რეკომენდაციები. შემოწმების პროცესი წარმატებით განხორციელდა. მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება მომდევნო ანგარიშის მომზადების პროცესში.

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტი

- ცვლილება შევიდა „ტექნიკურ რეგლამენტში - სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარების აკრძალვას;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება , რომლითაც განისაზღვრა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ“ მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და შესაბამისი საჯარიმო სანქციები;
- ნარჩენების მართვის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული პროდუქტის ბაზარზე განთავსების ან/და ამ პროდუქტით ვაჭრობის შეზღუდვა ან აკრძალვა;
- „ვერცხლისწყლის შესახებ“ მინამატას კონვენციიდან გამომდინარე შემუშავდა და დამტკიცდა „წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს N349 დადგენილება.

ტყის პოლიტიკის დეპარტამენტი

- სატესტო რეჟიმში ჩაეშვა ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის (FIMS) ტყის მართვის გეგმების შედგენის მოდული. აგრეთვე, შემუშავდა სატყეო ოპერაციების მოდულის „ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენის და ტყითსარგებლობის“ ქვემოდულის საბოლოო სამუშაო ვერსია;
- ტყეთმოწყობის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, დაიხვეწა შესაბამისი ტექნიკური დავალებები, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების მოთხოვნებს. ამასთან ერთად, შემუშავდა ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების ინსპექტირების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების ხარისხის კონტროლს, სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასა და პროცესის ეფექტიან მონიტორინგს. 2025 წელს დამტკიცდა თუშეთისა და დედოფლისწყაროს ტყის მართვის გეგმები;
- კლიმატის მწვანე ფონდის პროექტი (GCF) - ვაუჩერულ პროგრამაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე გაფართოვდა ბენეფიციართა წრე, გაიზარდა დაფინანსების პროცენტი, მარკეტინგული აქტივობების განხორციელების არეალი და გამარტივდა ადმინისტრაციული პროცედურები. განახლებული პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ენერგოეფექტური ღუმელების რეალიზაციის რიცხვი, რომელიც, დღეის მდგომარეობით, 5779 შეადგენს.

საერთაშორისო თანამშრომლობა:

- გაეროს ევროპის ტყის კომისიის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი;
- ევროპის საბჭორ ბერნის კონვენციის თავმჯდომარედ, მეორე ვადით არჩეულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი;
- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მხარდაჭერით, მიმდინარეობს ტყის არამერქნული რესურსების განვითარების პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს მაღალი ეკონომიკური ღირებულების მქონე ტყის არამერქნული რესურსის იდენტიფიცირებას, ტყის არამერქნული რესურსების მწარმოებელთა მხარდაჭერას და არამერქნული პროდუქტების ბაზრის განვითარების საგზაო რუკის შემუშავებას. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი გეგმები.
- ეუთოს ორგანიზებით და მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ცვლილება და უსაფრთხოება ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში” ფარგლებში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის ველისა და ტყის ხანძრების მართვის გაუმჯობესებასა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას ეხება, განისაზღვრა საქართველო-სომხეთს შორის 2026 წლის ერთობლივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები საზღვრისპირა რეგიონებში და გაუღერდა ინიციატივა COP17-ის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესახებ.

ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტი

სახეობათა აღდგენის ინდივიდუალური გეგმები

2025 წლის განმავლობაში, მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სახეობათა აღდგენის გეგმიდან გამომდინარე 4 პრიორიტეტული სახეობის - კეთილშობილი ირმის, გარიელის, ქათმისებრებისა და კალმახის აღდგენის ინდივიდუალური გეგმები, რომელიც შეიმუშავა ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტმა.

კეთილშობილი ირმის აღდგენის გეგმის შესაბამისად, უკვე დაიწყო მათი რეინტროდუქციის პროცესი ალგეთის ეროვნულ პარკში, ხოლო კალმახის აღდგენის გეგმის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე, შერჩეულია 15 მდინარე რეინტროდუქციის პროცესის დასაწყებად.

თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობების რეგისტრაცია

2025 წელს მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონსა და “თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N423 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ელექტრონული რეესტრი და სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერისთვის დაშვებული თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობის რეგისტრაცია გახდა სავალდებულო. ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, გამკაცრდა კონტროლი ელექტროშოკური მოწყობილობებით უკანონო მიღწევას თევზჭერაზე.

ფრინველთა სახეობებისა და მერქნიანი მცენარეების კვლევა

2025 წლის განმავლობაში, პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში, ჩატარდა კვლევა ფრინველთა სახეობებსა და მერქნიან მცენარეებზე მათი პოპულაციების მდგომარეობის შეფასებისა და საკონსერვაციო სტატუსების განსაზღვრის მიზნით, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. კვლევის შედეგად შეფასდა ფრინველთა 69 და მერქნიან მცენარეთა 208 სახეობა.

სტრატეგიული კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი

- 2025 წელს, ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სტრატეგიული კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ერთიანი მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სამინისტროს რეფორმებისა და ინვესტიციები ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა 2025-2028 წწ რეფორმების და ინვესტიციებისა და 2026-2028 წწ ინფრასტრუქტურული პროექტების მატრიცები;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში არსებული სერვისების მოქნილი და ხარისხიანი ფუნქციონირებისა და მათი ეფექტიანობის შეფასების მიზნით, მომზადდა არსებული სერვისების ჩამონათვალი და დაიგეგმა გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებები;
- 2026-2036 წწ ერთიანი ეროვნული განვითარების სტრატეგიის მომზადების პროცესში, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, განისაზღვრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები.

- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორჰუსის კონვენციის ბიუროსა და მხარეთა შეხვედრის ვიცე-თავმჯდომარის პოზიციაზე მეორე ვადით არჩეულ იქნა სტრატეგიული კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მდგრადი განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი ნინო გოხელაშვილი;
- გაეროს მე-8 გარემოსდაცვითი ასამბლეის (UNEA-8) ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე მეორე ვადით არჩეულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი.

საერთაშორისო ურთიერთობების და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

საერთაშორისო დონორული პროექტები/პროგრამები

- მწვანე კლიმატის ფონდისა (GCF) და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) დონორული ხელშეწყობითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის (EIEC), 2025-2027 წწ.-ისთვის შემუშავებული პროექტი -შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის პროცესის მხარდასაჭერად“. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 2,726,404 აშშ. დოლარს;
- სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაფინანსებითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, 2025 წლის ივლისი-ნოემბერი განხორციელდა პროექტი „მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვება და ცნობიერების ამაღლება საქართველოში შავი ზღვის მეთევზეობის სფეროში“ (პროგრამის არეალი - შავი ზღვის სანაპირო, საქართველო); პროექტის საერთო ბიუჯეტმა 14 650 ევრო შეადგინა;
- 2025 წლის 31 ივლისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (MEPA) დაიწყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან მასპინძელი ქვეყნის შეთანხმების (Host Country Agreement – HCA) გაფორმებისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარება. აღნიშნული შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოში FAO-ს სამართლებრივი სტატუსის ფორმალიზებას, მათ შორის იმ პრივილეგიების, იმუნიტეტისა და ოპერაციული პირობების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის მანდატის დამოუკიდებლად და ეფექტიანად განხორციელებისთვის;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობით, სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოსთვის, 2025-2026 წწ.-ში, განსახორციელებელი პროგრამაა „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საძოვრების იდენტიფიცირება, კატეგორიზაცია და რეგისტრაცია“. პროგრამის საერთო ბიუჯეტი 66 2051 აშშ დოლარს შეადგენს.

იურიდიული დეპარტამენტი

2025 წლის განმავლობაში, ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებში:

- საქართველოს ტყის კოდექსი;
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- ნარჩენების მართვის კოდექსი;
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;
- ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ საქართველოს კანონი;
- ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ საქართველოს კანონი;
- „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონი.